ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## თურქეთი დიდგორობის, 12 აგვისტოს, უქმე დღედ გამოცხადებას გვიკრძალავს?



გვ.3

19 აპრილიდან
ჟორჟ სანდი
ინდიანა
ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 26-ე
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




შაბათი – კვირა, 22 – 23 აპრილი, 2017 №94 (7329) ფასი: 50 თეთრი

# კალაძე თუ ნარმანია?



თბილისის მერობისთვის აპირებს ბრძოლას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც. კანდიდატურის წარდგენამდე ის საკუთარ პარტიას დააფუძნებს. ამასთან დაკავშირებით განაცხადი მომავალ კვირაში გაკეთდება.



გვ.2 „ქართული ოცნება" გადაწყვეტილებას ვერ იღებს

## იზორია შსს-ში, კობალაძე – თავდაცვაში

რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში



გვ.2



## დავით დარჩიაშვილი: „პლებისციტის იდეას რატომ აკრიტიკებენ, არ მესმის"

„ოპოზიციაში დიდი ამბიციებია"



გვ.4

## ტერორისტები ყველა ფრონტზე გააქტიურდნენ

ლონდონის პოლიციას ტერორისტი მძღოლებისთვის ცეცხლის გახსნის უფლება მისცეს



გვ.5



გვ.5

## „ნატოზე უარის თქმა რუსეთის მიერ საქართველოს მთლიან ოკუპაციას გამოიწვევს"

როგორ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი



გვ.6

## ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის ყველაზე მეტი ჯარიმა ძველი თბილისის ტერიტორიაზე დაიწერა

ISSN 1987-9385

## ავტოიმპორტიორებს შეკვეთები 70–80%-ით შეუმცირდათ"



გვ.6

## საქართველოში ავტომობილების 91% 10 წელზე მეტი ასაკისაა




გვ.6

შორენა მარსაგიშვილი

# კალაძე თუ ნარმანია?

## „ქართული ოცნება" გადაწყვეტილებას ვერ იღებს

**„ქართულ ოცნებაში" დედაქალაქის მერობის კანდიდატის შერჩევას შესაძლოა სერიოზული უთანხმოება მოჰყვეს. აქამდე ცნობილი იყო, რომ კანდიდატი ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე იქნებოდა. წინა კვირას კი მოქმედმა მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ მერობის კანდიდატი ისევ ის იქნებოდა.**

ეს ინფორმაცია ნაწილობრივ „ქართულ ოცნებაშიც" დაადასტურეს. მათი განცხადებით, ნარმანია კარგი მერია და მეორე ვადით კიდევ უფრო კარგ საქმეებს გააკეთებს.

ამ ამბავში საბოლოო სიტყვას ბიძინა ივანიშვილი იტყვის. თავის დროზე სწორედ მან შეარჩია თბილისის მერად ნარმანია.

რის საფუძველზე მოქმედებდა მაშინ პირველი მეოცნებე, ვერ გეტყვით. ახლა კი გადაწყვეტილების მიღებაში მას ის კვლევა დაეხმარება, რომელიც „ოცნებამ" ჩაატარა.

პირველი რადიოს ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ „ქართულმა ოცნებამ" შიდაპარტიული კვლევა ჩაატარა, რომელმაც აჩვენა, რომ თბილისის მერობის სავარაუდო კანდიდატებს – კალაძესა და ნარმანიას შორის სხვაობა დიდი არ არის.

კვლევის თანახმად, ენერგეტიკის მინისტრი მოქმედ მერს მცირედით უსწრებს. ამ მცირედი სხვაობის გათვალისწინებით, პარტიაში მწიფდება აზრი, რომ ადგილობრივ არჩევნებზე კანდიდატი არა კალაძე, არამედ ნარმანია იყოს.

როგორც „ოცნების" კულუარებში ამბობენ, ნარმანიას სასარგებლოდ



მუშაობს თავად ნარმანიას ფაქტორი, რომ მას არ აქვს პოლიტიკური ამბიცია და შესაძლოა მომავალში ის სრულფასოვან პოლიტიკურ ლიდერად არ ჩამოყალიბდეს. ინფორმაციის თანახმად, სწორედ ეს გარემოებები მოქმედებს კალაძის კანდიდატურის საწინააღმდეგოდ.

პარტიული ელიტა თვლის, რომ კალაძე მომავალში შესაძლოა ცალკე პოლიტიკურ ლიდერად ჩამოყალიბდეს, მით უმეტეს, რომ მას მმართველი პარტიის დამაარსებელთან პირდაპირი ფინანსური ბმა არ აქვს და საკუთარი, დამოუკიდებელი ფინანსური წყაროები გააჩნია. კანდიდატებზე ჩამოყალიბების პროცესს ის გარემოებაც „ართულებს", რომ ჯერ პარტიისთვის ბოლომდე არ არის ცნობილი ბიძინა ივანიშვილის განწყობა და გადაწყვეტილება. კულუარული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, ყოფილმა პრემიერმა ნაკლებად ამბიციური კანდიდატის – ნარმანიას სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილება.

გავრცელებული ინფორმაციით, მმართველი პარტია მერის კანდიდატს, სავარაუდოდ, თვის ბოლოს დაასახელებს.

ამ მოსაზრებას იზიარებენ ოპოზიციაშიც. გასულ კვირას „ახალი საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა „ახალ თაობასთან" საუბარში განაცხადა, რომ ივანიშვილისთვის უამბიციო ნარმანია უფრო მისაღები იყო, ვიდრე კალაძე. მისივე თქმით, მოქმედი მერის მორიგი უპირატესობა ისაა, რომ ის ოლიგარქის ყველა მოთხოვნას ასრულებს.

როგორც „ახალ თაობას" მმართველ გუნდში განუცხადეს, კალაძის წინააღმდეგ შესაძლოა მისმა ზედმეტმა აქტიურობამ იმოქმედოს. ბოლო პერიოდში ის საკმაოდ ხშირად სტუმრობდა დედაქალაქის საკრებულოს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ კვლევის ჩატარებამდე, მაშინ, როცა კალაძის საკითხი თითქმის დადებითად იყო გადაწყვეტილი, ენერგეტიკის მინისტრმა გარკვეული პირობა დააყენა.

მან დედაქალაქის საკრებულოში თავისი ერთგული ხალხისთვის საკმაოდ სერიოზული კვოტა მოითხოვა.

საუბარი იყო იმდენ ადამიანზე, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევის ჟამს მისთვის ბოიკოტი არ მოეწყოთ. სავარაუდოდ ეს გახდა მისი კანდიდატურის დაწუნების მიზეზი.

მეორე ვადით მერობისთვის დავით ნარმანიაც რომ სერიოზულად ემზადება, ამაზე მისი გააქტიურებაც მეტყველებს. ამის გარდა, მის წინააღმდეგ რაღაც კომპრომატების აგორებაც დაიწყო. საუბარია ხელისუფლებაში მყოფი ძალების მიერ აგორებულ შავ პი-



არზე. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ამ ეტაპზე არჩევანი მის სასარგებლოდ არის გაკეთებული.

„ქართული ოცნების" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა „ახალ თაობასთან" საუბარში განაცხადა, რომ თუ ივანიშვილმა გადაწყვიტა, ის პოზიციას არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლის.

– ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არაა, მაგრამ ივანიშვილს მოსწონს ნარმანია. მის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნებას აზრი არა აქვს. ივანიშვილი სუსის დახმარებით აკონტროლებს მას და კომპრომატების გამომქვეყნებლებზე უკეთ იცის, რასაც წარმოადგენს მოქმედი მერი. მან თუ გადაწყვეტილება ნარმანიას სასარგებლოდ მიიღო, ოპონენტებმა ნარმანიას ისლამური სახელმწიფოს წევრობაც რომ დაუდგინონ, გადაწყვეტილება არ შეიცვლება, – ამბობს „ოცნებასთან" დაახლოებული წყარო.

„ქართულ ოცნებაში" არც იმას გამორიცხავენ, რომ ბიძინა ივანიშვილმა თბილისის მერად სულ სხვა კანდიდატს დაუჭიროს მხარი. მათ შორის, შესაძლოა, ირაკლი ღარიბაშვილიც კი ვიხილოთ.

არსებული ინფორმაციით, „ოცნება" პრეზიდენტის პოსტზე აპირებდა მის წარდგენას, მაგრამ კონსტიტუციაში შესული ცვლილება ამის საშუალებას აღარ იძლევა

ცვლილების თანახმად, პრეზიდენტობის მსურველი 40 წელზე ახალგაზრდა არ უნდა იყოს. ირაკლი ღარიბაშვილს კი 40 წლამდე კიდევ რამდენიმე წელი აშორებს.

* * *

მერობის კანდიდატებს ნელ-ნელა ოპოზიციაც ასახელებს. ნაციონალურმა მოძრაობამ მერობის კანდიდატად ნიკა მელია დაასახელა. 2014 წელს მელიამ ერთხელ უკვე იყარა თბილისის მერად კენჭი. დავით ნარმანიამ მისი დამარცხება მხოლოდ მეორე ტურში შეძლო.

მერობის კანდიდატი ეყოლება ნაციონალებიდან გამოყოფილ „ევროპულ საქართველოსაც". ისინი მერად ან ირაკლი აბესაძეს დაასახელებენ, ან ელენე ხოშტარიას. ამ ეტაპზე ამ კანდიდატურებზე მიდის საუბარი.

თბილისის მერობისთვის აპირებს ბრძოლას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც. კანდიდატურის წარდგენამდე ის საკუთარ პარტიას დააფუძნებს. ამასთან დაკავშირებით განაცხადი მომავალ კვირაში გაკეთდება.

ბრძოლას „ახალი საქართველოც" აპირებს. არსებული ინფორმაციით, მათი კანდიდატი გიორგი ვაშაძე იქნება. ამ დღეებში „ახალმა საქართველომ" გააკეთა განცხადება, რომ, კარგი იქნება, თუ ოპოზიციას ამ არჩევნებზე ერთიანი კანდიდატი ეყოლება.

# იზორია შსს-ში, კობალაძე — თავდაცვაში

## ზაქარია ქუცნაშვილი: „ცვლილებები გვიან გაზაფხულზე მოხდება"



შორენა მარსაგიშვილი

**„ქართული ოცნება" სამთავრობო ცვლილებების მოლოდინშია. „ქართულ ოცნებაში" უკვე ღიად საუბრობენ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში სერიოზული ცვლილებები მოხდება. მათი ნაწილი ცვლილებებს უკვე მომავალ კვირაში ელოდება. საუბრობენ იმაზე, რომ 27 აპრილს პრემიერი რამდენიმე მინისტრს გადააადგილებს.**

„ოცნებაში" არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ მინისტრებთან ერთად პრემიერიც შეიცვლება. მათი მტკიცებითვე, ცვლილებები მხოლოდ ვახტანგ გომელაურს და მთავარ პროკურორს არ შეეხებათ.

პრემიერის სავარაუდო შემცვლელად უკვე რამდენიმე კანდიდატურა დასახელდა. ყველაზე აქტიურად ეკონომიკის მინისტრის გიორგი გახარიას და ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის გაპრემიერებაზე საუბრობენ.

### რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში

სახელისუფლებო კულუარებში საუბრობენ, რომ თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაინაცვლებს. სამხედრო უწყებას კი დეპუტატი კობა კობალაძე ჩაიბარებს.

აღსანიშნავია, რომ კობალაძის კანდიდატურა ამ პოსტზე გასულ წელსაც განიხილებოდა, მაგრამ მაშინ იზორიას სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილება მიღებული. კობალაძეს კი გლდანის მაჟორიტარობა აკმარეს.

ბოლო პერიოდში ის პარლამენტში აღარ აქტიურობს. მის სიჩუმეს საკადრო ცვლილებას უკავშირებენ.

....

სხვების მსგავსად, სამთავრობო ცვლილებებს საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილიც ელოდება.

დეპუტატი ვარაუდობს, რომ გვიან გაზაფხულზე, ან ზაფხულში მთავრობაში რიგი ცვლილებები განხორციელდება.

– ამას არ გამოვრიცხავ, რადგან პრემიერ-მინისტრი თავის კაბინეტს პერიოდულად უნდა აახლებდეს და ადამიანებს ადგილს უნდა უცვლიდეს, რათა სუსტი ადგილები გამოსწორდეს, ხოლო ძლიერი პოზიციები კიდევ უფრო გამყარდეს. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, რომ პრემიერ-მინისტრს ასეთი განზრახვა ჰქონდეს. მათ შორის არა მხოლოდ გუბერნატორების, არამედ მთავრობის ზოგიერთი წევრის მიმართაც. ამაში ლოგიკას და სისწორეს ვხედავ. მთავრობას, ისევე, როგორც პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლებს და მრჩევლებს განახლება გარკვეული პერიოდულობით სჭირდებათ, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ქუცნაშვილი.

ჟურნალისტების კითხვაზე, რატომ არ ჩქარობს პრემიერი სუსტი რგოლების გაძლიერებას, ქუცნაშვილი პასუხობს, რომ ცვლილებებს გვიან გაზაფხულზე უნდა ველოდოთ.



– ეს უკვე პრემიერის შესაფასებელია. ფაქტია, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ რამდენიმე მინისტრის პორტფელი განახლდა. არჩევნების დამთავრებიდან გასულია სულ რამდენიმე თვე. ვფიქრობ, რომ გვიან გაზაფხულზე ან ზაფხულში მოსალოდნელია მთელი რიგი ცვლილებები. პრემიერ-მინისტრს უფლება უნდა ჰქონდეს, რომ წელიწადში, სულ მცირე, ერთხელ სამთავრობო შემადგენლობა ნაწილობრივ მაინც განაახლოს იმისათვის, რომ სუსტი ნაწილები გაძლიერდეს, – ამბობს დეპუტატი.

# თბილისი-ფონიჭალის გზაზე სატვირთო ავტომანქანა ამობრუნდა

თბილისი-ფონიჭალის გზაზე სატვირთო ავტომანქანა ამობრუნდა. არსებული ინფორმაციით, იქამდე სატვირთო ბორდიურს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო და საპატრულო ეკიპაჟები. როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარზე სამართალდამცველების მხრიდან რეაგირება ადმინისტრაციული წესით მოხდება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თურქეთი დიდგორობის, 12 აგვისტოს, უქმე დღედ გამოცხადებას გვიკრძალავს?

## ნუკრი ქანთარია: „პატარა ქვეყანა ვართ და დიპლომატიურობა გვმართებს“

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე თვის წინ ხელისუფლებამ ზარ-ზეიმით გვამცნო, რომ ერში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მიზნით, დიდგორის ბრძოლის დღეს, 12 აგვისტოს, უქმე დღედ გამოაცხადებდა.

საკითხის მომზადება განათლების კომიტეტს დაევალა. 15 მარტს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა დიდგორის ომის დღის, 12 აგვისტოს, „დიდი გამარჯვების დღედ“ გამოცხადებას და უქმედ დაწესებას. ამის შემდეგ საქმე წინ არ წასულა.

ამ დღეებში გაირკვა, რომ ქართველი კანონმდებლების სულში პატრიოტიზმის მცირეოდენმა შეღიტინებამ ჩვენი მეზობელი თურქების გაღიზიანება გამოიწვია. თურქული მხარის პრეტენზიებზე საუბრობს ამ დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადების ინიციატორი ნუკრი ქანთარია.

ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატი ამბობს, რომ საკითხის განხილვა კიდევ ერთი მიზეზით არის შეჩერებული. დეპუტატები ისტორიკოსებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

— კონსულტაციები გვაქვს ისტორიკოსებთან. ისეთი რამის გაკეთება გვინდა, რომ მიმზიდველი იყოს არა მარტო ჩვენთვის, არამედ ტურისტებისთვისაც. არ გვინდა, რომ ფორმალური დღე იყოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღე უნდა იყოს, ამას ორი გარმონის გაწელვისთვის და ერთი დოლის დაკვრისთვის არ ვაკეთებთ, — აღნიშნავს ქანთარია.

არადა, როცა საკითხი პირველი მოსმენით განიხილებოდა, ქანთარია ისტორიკოსებთან კონსულტაციების გამართვას დროის გაწელვად თვლიდა. მაშინ ისტორიკოსებთან კონსულტაციების გავლა ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გენადი მარგველაშვილმა მოითხოვა.

ქანთარია ჯერ ვერ აკონკრეტებს, როდის ან როგორ დასრულდება ისტორიკოსებთან კონსულტაციები. სამაგიეროდ, მისი საუბრიდან კარგად ჩანს, რომ თურქეთის საელჩოსთან ამ თემაზე კონსულტაციები უკვე დასრულებულია.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ თურქეთის საელჩომ საქართველოს პარლამენტს მეგობრული თხოვნით მიმართა. თურქები მეგობრულადვე ითხოვენ, რომ მეგობრობის ხათრით საკანონმდებლო ორგანომ კანონპროექტი არსებული ფორმით არ მიიღოს.

როგორც ქანთარია მედიასთან ამბობს, თურქებისთვის ეს დღე დამარცხების დღეა და მათთვის ეს ყველაფერი მტკივნეულია.

— საქართველოს პარლამენტს თურქეთის საელჩომ თხოვნით მოგვმართა და გვითხრა, რომ



დიდგორი მათი დამარცხების დღე არის. ამიტომაც პარლამენტის ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება გარკვეული უსიამოვნება შეიტანოს ჩვენს ურთიერთობებში, — აღნიშნავს დეპუტატი.

ქანთარიას თქმით, ეს საკითხი მაინც გადაწყდება. ის ამბობს, რომ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება არავის აქვს.

— ეს იყო მხოლოდ მეგობრული თხოვნა. თურქეთის საელჩოს ჩვენს საშინაო საქმიანობაში ჩარევის უფლება არ აქვს და კანონს ვერც ერთი ქვეყანა გაგვიჩერებს, ეს ჩვენი საშინაო საქმეა, — ასეთია კანონპროექტის ინიციატორის პოზიცია.

ის იმასაც ამბობს, რომ თურქეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და დიდი სახელმწიფოა და ამიტომაც ოფიციალურ თბილისს ურთიერთობის გამწვავება არ აწყობს.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის აზრით, საქართველომ დიპლომატია უნდა გამოიჩინოს. დიპლომატიურობისკენ კი შემდეგი მიზეზებით მოგვიწოდებს:

— ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ. ამიტომ მუდმივად გვმართებს დიპლომატია, ბეწვის ხიდზე სიარული, რომ რამე ჩვენი არ დავკარგოთ და ქვეყნის პერსპექტივას ზიანი არ მივაყენოთ. თურქეთი ჩვენი მეზობელი უდიდესი სახელმწიფოა, მას აქვს საშუალება, რომ ჩვენთან სიტუაცია დაძაბოს.

კანონპროექტის ინიციატორი იმასაც გვეუბნება, რომ, ყველაფრის მიუხედავად, თურქეთის მადლიერები უნდა ვიყოთ.

— მას არც აფხაზეთის და არც სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა არ უღიარებია. ამის გამო თურქეთი მადლობას იმსახურებს და არც აჭარაზე აქვთ პრეტენზია, — აცხადებს ქანთარია.

თუმცა, როგორც ქანთარია ნეტგაზეთთან საუბარში ამბობს, თურქეთს მაინც ჰქონია აჭარაზე პრეტენზიები.

— ეროვნული აღქმის დოკუმენტში გარკვევით უწერიათ, რომ აჭარა მისი ტერიტორიაა. ყარსის ხელშეკრულებას ვადები არ აქვს და ამ ხელშეკრულებაში გარკვევით წერია, რომ საქართველო 1921 წელს თურქეთს უთმობს ტერიტორიას. ვუთმობ ნიშნავს, რომ ჩემია და ვუთმობ და არა იმას, რომ სამართლიანობა აღდგა. ასე რომ, აქ ბევრი ისეთი საკითხია, რომელზეც გარკვეული ჭკუის გამოჩენა გვმართებს, — აცხადებს დიდგორის უქმე დღედ გამოცხადების კანონპროექტის ინიციატორი.

ნუკრი ქანთარია ჟურნალისტებთან საუბარში არც პროვოკაციებს გამორიცხავს. მისი განმარტებით, ეს ფაქტი გარკვეულმა ძალებმა შესაძლოა სათავისოდ გამოიყენონ და სერიოზული დაპირისპირებაც დაიწყოს.

ამ საკითხზე სამსჯელოდ დეპუტატები მომავალ კვირას შეიკრიბებიან და მეორე მოსმენაზე გადაწყვეტენ, რა ფორმით იქნება კანონპროექტი მიღებული. არც ის არის გამორიცხული, დიდგორი ჩვეულებრივ დღედ დარჩეს, თითქოს დიდგორის ველზე დიდი არაფერი მომხდარა.

საპარლამენტო უმრავლესობაში ამ თემაზე ღია საუბარს გაურბიან. პრივატულ საუბრებში კი აცხადებენ, რომ თურქეთთან ურთიერთობის გამწვავება არ ღირს.

ამ მოსაზრებას იზიარებს დამოუკიდებელი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი. მეტიც, ის ამბობს, რომ დიდგორის ბრძოლის დღის უქმედ გამოცხადება რეალობისგან აცდენას წარმოადგენს.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის თქმით, მოქალაქეების ეროვნული თვითშეგნების გაზრდა არა სადღესასწაულო დღეებით, არამედ სახელმწიფო იდეოლოგიითაა საჭირო.

— სადღაც აცდენილი ვართ რეალობას. გარეთ არსებობს ქვეყანა, სადაც გამარჯვების არანაირი განცდა არ არსებობს, სადაც ყოველდღიურად არის წუხილი იმის შესახებ, რომ რა არის ეს სახელმწიფო, საითკენ მიდის. ჯადო და ჯადოსნური სიმბოლოები იქმნება მუშაობით, ძალისხმევით, პერსპექტივის შექმნით, ყველაში მომავლის იმედის ჩანერგვითა და ყოველდღიური ძალისხმევით.

იმის განცდის შექმნა ქვეყნისთვის, რომ რაღაც გადაწყვეტილების მიღებით პარლამენტში ჩვენ უცბად გამარჯვების განცდას შევქმნით ქვეყანაში და უცბად ჩვენ ჩამოვყალიბდებით, როგორც დიდგორის შთამომავლები, არის ერთი მხრივ, ილუზია, და ჩემი აზრით, საშიში ილუზია, — ასეთია ზურაბიშვილის პოზიცია.

მისი განმარტებით, საქართველომ ჯერ საქმე უნდა გააკეთოს და გამარჯვების განცდა თავისთავად გაჩნდება.

* * *

თურქეთის საელჩოს პოზიციამ საზოგადოებაში დიდი გაღიზიანება გამოიწვია. უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე მიიჩნევს, რომ თურქეთმა წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი შეურაცხყო.

ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც კანონპროექტის შეჩერების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

— „ქართული ოცნების“ დეპუტატების მიერ მომზადებული კანონპროექტის განხილვა შეჩერდა. საუბარია დიდგორის ბრძოლის დღის, 12 აგვისტოს, დიდი გამარჯვების დღედ და უქმედ გამოცხადებაზე. შრომის კოდექსში შესატან ცვლილებას თურქეთის ხელისუფლების მხრიდან ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. თურქებს სურთ, საქართველომ არ იდღესასწაულოს ის დიდი გამარჯვება, რომელიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა დღევანდელი თურქების ისტორიულ წინაპრებზე.

ეს არის მორიგი არამეგობრული ნაბიჯი თურქეთის ხელისუფლებისგან. ეს არის ჩვენი ისტორიის, დიდი წინაპრების, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის შეურაცხყოფა. საინტერესოა, კიდევ სადამდე მივა თურქეთის ხელისუფლების თავხედობა. იქნებ დავით აღმაშენებლის ძეგლების დანგრევა, გელათის ეკლესიის დანგრევა და დავითის საფლავის განადგურებაც მოგვთხოვონ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „თემურ ბასილიას საქმე სააპელაციო სასამართლოში არსებითი განხილვისთვის დაიშვა“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის განჩინებით, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიმდინარე წლის 14 თებერვლის განჩინება. შედეგად, საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის თემურ ბასილიას საქმე გადაიხედება. აღნიშნულის თაობაზე განცხადებას თემურ ბასილიას ადვოკატები: არჩილ კაიკაციშვილი და გია ტაბლიაშვილი აკეთებენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლიანი და პრინციპული გადაწყვეტილების შედეგად, განჩინება, რომლითაც თემურ ბასილიას უარი ეთქვა საქმის გადახედვაზე, ცალსახად უკანონოდ იქნა მიჩნეული.

საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა გაუქმებული განჩინების დასაბუთებისთვის განმარტავს და აღნიშნავს, რომ „მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორის 2017 წლის 17 იანვრის დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც ირკვევა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არსებითად დაირღვა მსჯავრდებულ თემურ ბასილიას პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება, კერძოდ: თემურ ბასილიას განზრახ უკანონო დევნით არსებითად შეილახა მისი რეპუტაცია და მოხდა მისი დისკრედიტირება საზოგადოებაში, რამაც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლების არსებითად დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული დადგინდა ახალი გამოძიების პირობებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებებით, რომლებიც ამტკიცებს თემურ ბასილიას უდანაშაულობას.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 და მე-13 მუხლების შესაბამისად, არ დასტურდება თემურ ბასილიას მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილი „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის ფაქტი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსგავს საქმეებზე, როდესაც ვლინდება მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, ბრალდების მხარე არ უნდა შეიზღუდოს და უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სრულყოფილად განახორციელოს კანონით დაკისრებული მოვალეობა, რისი წინა პირობაც არის წარდგენილი შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განხილვა სასამართლოში“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების შემდგომ თემურ ბასილიას საქმე არსებითი განხილვისთვის უკვე დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2017 წლის 27 იანვარს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება მომხდარიყო საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერის და პრეზიდენტის თანაშემწის თემურ ბასილიას უკანონო და პოლიტიკურად მოტივირებული საქმის გადახედვა.

პროკურატურის დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, ეფუძნებოდა საქმეზე ახალ მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებებსა და ფაქტობრივი გარემოებების ხელახალ, საფუძვლიან შესწავლას, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 14 თებერვლის განჩინებით, დადგენილების განსახილველად დაშვებისა და ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადახედვის თაობაზე, სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზით, უარი განაცხადა.



სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე: ნათია ბარბაქაძე, მოსამართლეები: მანუჩარ კაპანაძე, ლევან თევზაძე) თავის შეფასებაში აღნიშნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში, პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა ვერ იქნა მიჩნეული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებად, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, 2008 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი თემურ ბასილიას მიმართ გამოიტანა მის დაუსწრებლად, რომელიც სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა და შესაბამისად, ამ ეტაპზე საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის“.

აღნიშნული მსჯელობა არ გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომლის განჩინებაც საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცნობისთვის: 2011 წლის 26 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თემურ ბასილიას მიანიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი. საკასაციო სასამართლოში საქმეზე გადაწყვეტილება მოსამართლეებმა: პაატა სილაგაძემ (თავმჯდომარე), ნინო გვენეტაძემ და გიორგი შავლიაშვილმა მიიღეს. ამჟამად, თემურ ბასილიას ადვოკატები იმედოვნებენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმის გადახედვას არ გააჭიანურებს და უკანონო განაჩენის გადახედვა სხვადასხვა მოტივებით არ გახანგრძლივდება.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დავით დარჩიაშვილი: „პლებისციტის იდეას რატომ აკრიტიკებენ, არ მესმის“



ნათია ხურცილავა

**„ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.**

***— ბატონო დავით, თქვენი პარტიის ინიციატივას პლებისციტთან დაკავშირებით, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების ორ მთავარ საკითხს შეეხება: პრეზიდენტის არჩევის წესსა და საარჩევნო სისტემას, უკვე მოჰყვა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის მდინარაძის განცხადება, რომ ისინი ელცინის დამკვიდრებული გზით არ აპირებენ სიარულს.***

— არ ვიცი, მდინარაძეს რა დაესიზმრა, მაგრამ არანაირი დემოკრატიული გზით რომ არ აპირებენ სიარულს, ეს ჩანს. არ ვიცოდი, ელცინის გზა თუ იყო, მაგრამ ამ ვითარების გამოსწორება, რომელიც კონსტიტუციის ახალი პროექტის ირგვლივ შეიქმნა, დემოკრატიულად სწორედ პლებისციტით შეიძლებოდა. სწორედ საზოგადოებამ უნდა თქვას, თუ როგორი გზით არჩეული პრეზიდენტი უნდა — პირდაპირი თუ ირიბი გზით. ასევე ამომრჩეველმა უნდა თქვას, როგორი საარჩევნო სისტემა სურს.

ნორმალურ სიტუაციაში, როდესაც ყველა პოლიტიკური სპექტრი, სამოქალაქო საზოგადოება წინააღმდეგია და მხოლოდ ერთმა მმართველმა პარტიამ გაიტანა თავისი, მაშინ კონსენსუსის მისაღწევად ყველაზე გამართლებული გზაა, ხალხს ვკითხოთ, რა და როგორ უნდა, თუმცა ამაზე არ წავლენ, რადგან მმართველობის ავტორიტარული სტილია აღებული — ყველაფრისა და ყველას იგნორირება, რასაც დემოკრატიასთან არავითარი საერთო არ აქვს.

***— აირაის კვლევებით ისედაც ნათელია, რომ პრეზიდენტის არჩევის საკითხზე ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის კონსენსუსი არ არის. თქვენი პარტიის წინადადება, ხომ არ ფიქრობთ, რომ პოლიტიკის ნაწილია?***

— რა თქმა უნდა, პოლიტიკის ნაწილია. რა არის ამაში უცნაური. ეს ჩვენი წინადადება იქნება კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რომ ხელისუფლებას თუ კიდევ შერჩა დემოკრატიული პრინციპების განცდა, მაშინ ეს საქმით უნდა დაამტკიცოს. საქმე კი შეიძლება სხვადასხვანაირად გამოვლინდეს. ამ ვითარებაში ერთ-ერთი გზა სწორედ პლებისციტია. შეიძლება, ერთადერთი გზა არ არის, მაგრამ ერთ-ერთი ნამდვილად არის.

რაც შეეხება თქვენს კითხვას: პოლიტიკის ნაწილი არის თუ არა? პოლიტიკის ნაწილი არის იმდენად, რამდენადაც ამ შეთავაზებაზე მმართველი გუნდი უარს იტყვის, მაგრამ საზოგადოების გასაგონად ეს არგუმენტი უნდა გაჟღერებულიყო. ეს არგუმენტი გვჭირდება, რომ ჩვენს საზოგადოებას ვუთხრათ, ხელისუფლება რამდენად არის დემოკრატიული. არც კი უნდათ, საზოგადოებას აზრი ჰკითხონ ასეთ ფუნდამენტურ საკითხზე, რადგან, მაპატიეთ და თავი კიტრებად მიაჩნიათ. არადა, ის პროცენტი, რომელიც არჩევნებზე აიღეს, ნამდვილად არ გამოხატავს საზოგადოების უმრავლესობის განწყობას.

***— თუმცა თალაკვაძე აცხადებს, რომ პასუხისმგებლობას თვითონ აიღებენ, პარლამენტში ჰყავთ საკონსტიტუციო უმრავლესობა და კენჭს უყრიან.***

— ეს უტიფარი განცხადებაა. ამას ჰქვია დემოკრატია?! ეს სრულიად მიუღებელია.

***— რამდენად შეძლებს ოპოზიცია ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას?***

— ადრე თუ გვიან ეს პროცესი გარდაუვალია. ისტორიული რეალობაა, როდესაც ხელისუფლება ამ ზომაზე თავხედდება. ბოლოს და ბოლოს, ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგ მოქმედებს. ერთადერთი, რაც ამ დროს ხელისუფლებას რჩება, არის ის, რომ უცხო ძალას დაეყრდნოს. თუ საზოგადოებას ასე დაელაპარაკები, მაშინ საზოგადოებაც გაერთიანდება. მართალია, გაერთიანება ჭირს, რადგან დი-

## „ოპოზიციაში დიდი ამბიციებია“

დია ფლუსტრაციის, იმედგაცრუების, ამბიციების როლი, მაგრამ ესეც დაიძლევა.

***— დანარჩენი ოპოზიციის გამოხმაურება თქვენი პარტიის იდეაზე არ იყო სახარბიელო.***

— რა გაუხდა დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს ასეთი საკრიტიკებელი პლებისციტის იდეა, უბრალოდ, არ მესმის. გასაგებია, რომ პოლიტიკური პროცესია, კვირიკაშვილი მეორე დღესვე პლებისციტს არ დანიშნავს და ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც ივანიშვილი ეტყვის, მაგრამ, ხომ უნდა თქმულიყო, რომ დემოკრატია თუ გვინდა, ეს გზაც არსებობს. რა, ეს არ უნდა თქმულიყო?! რატომ არ არის სალი აზრი? თუმცა, ყველას თავისი ამბიცია აქვს, რაც, სამწუხაროდ, პროცესს აფერხებს.

***— ოპოზიციის ლიდერებში დიდი ამბიციები აქვთ?***

— ეს არ არის ახალი ამბავი, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ამბიციები ძალიან დიდია.

***— თქვენთვის ყველაზე მიუღებელი რა არის კონსტიტუციის ახალ პროექტში?***

— პირველ რიგში, ეს არის საარჩევნო სისტემა. პროპორციული სისტემის საფარქვეშ სრულიად წარმოუდგენელ რამეს აკეთებენ, რომ გამარჯვებულმა პარტიამ მიიღოს ყველა დაკარგული ხმა. იმ ფონზე, როდესაც საარჩევნო ბარიერი არის 5%, წვრილ-წვრილი პარტია უამრავია, ეს პარტიები ბარიერს ვერ გადალახავენ. ამ დროს ყველა ეს ხმა წავა სახელისუფლებო პარტიასთან. შეიძლება, ერთი პროცენტით გაიმარჯვოს პარტიამ, მაგრამ მას დაემატოს 10-20% და შეიძლება კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოაგროვოს. ეს ხომ იქნება სრულიად დაუმსახურებელი?! სად არის აქ დემოკრატია?!

***— პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ ეს არის მცირე ბონუსი, რომელიც პოლიტიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. არ არის ეს არგუმენტი მისაღები?***

— როგორ არის მცირე ბონუსი 10 და 20%, არ მესმის. ჩვენს ქვეყანაში მმართველი პარტიისთვის არის ეს დამატებითი სარგებელი დემოკრატიის საწინააღმდეგოდ, ფორა, რომელიც ყველა მმართველ ძალას აქვს. 2016 წელს არჩევნების მასობრივი გაყალბება კლასიკური გაგებით არ ყოფილა. იყო მოსყიდვა და დაშინება, განსაკუთრებით რაიონებში. მანიპულაციები რომ გამოირიცხოს და ბარიერმა 2%-მდე დაიწიოს, მაშინ შეიძლება ხმების ძალიან მცირე ნაწილი დაიკარგოს და მათ ასეთი ბონუსიც ვერ უშველის.

ერთად ოპოზიცია უფრო მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე „ქართული ოცნება“, მაგრამ ყველა დაკარგულ ხმას წაიღებენ და მერე საზოგადოების რეალური განწყობები პარლამენტში არასდროს აისახება. ეს არის უსამართლობა, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს დემოკრატიასთან.

***— ბატონო დავით, 2%-მდე უნდა დაიწიოს ბარიერმა? — საერთოდ არ უნდა იყოს ბარიერი და ყველა უნდა შევიდეს პარლამენტშიო, ასეთი მოსაზრებაც მომისმენია. ამ იდეას ემხრობით?***

— არა, არა, საერთოდ რომ არ იყოს ბარიერი, ამას არ ვემხრობი. შეიძლება, ხუთმა კაცმა მისცეს ხმა ვიღაცას და ისიც უნდა შევიდეს პარლამენტში?! რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი, მაგრამ ბარიერმა საგრძნობლად უნდა დაიწიოს.

***— რაც შეეხება საარჩევნო ბლოკების აკრძალვას, ხელისუფლების არგუმენტია, რომ თითოკაციანი პარტიები არ იქნება, რომელიც დღეს ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას და რეალურ პოლიტიკურ პარტიებს შორის იქნება ბრძოლა. არ ეთანხმებით?***

— კი ბატონო, ვინც ვერ ლახავს ბარიერს, მას შეიძლება არ ჰქონდეს დაფინანსება, მაგრამ ჯერ ბარიერმა უნდა დაიწიოს.

# დავით რაქვიაშვილი: „უშიშროების საბჭოს გაუქმება სახელმწიფო უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნის“



უშიშროების საბჭოს გაუქმება ქვეყანას მთავარსარდლის გარეშე დატოვებს და სახელმწიფო უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნის.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა დავით რაქვიაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით განუცხადა.

მისი თქმით, როდესაც ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია, როდესაც სახელმწიფოებრიობის მთავარი საფრთხის წყარო — რუსეთის ფედერაცია არ იღებს ვალდებულებას ძალის არ გამოყენებაზე საქართველოს წინააღმდეგ და მუდმივად აწარმოებს ჰიბრიდულ ომს, როდესაც რეგიონის პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ჩართულია ან ომში ან კონფლიქტში და არსებობს კრიზისების გადმოდინების მაღალი ალბათობა და საფრთხე, ამ ვითარებაში ქვეყანა 24 საათის განმავლობაში უნდა ზრუნავდეს უსაფრთხოებაზე, საკონსტიტუციო კომისია კი აუქმებს უშიშროების საბჭოს, რომელიც არის უმაღლესი პოლიტიკური სათათბირო ორგანო, სადაც თავდაცვის, ეროვნული უსაფრთხოების, ომისა და მშვიდობის საკითხები განიხილება და ქვეყანას ტოვებს ქმედითი მთავარსარდლის გარეშე.

— დარწმუნებული ვარ, საზოგადოება, რომელიც მიუხედავად იმისა, ის არის თუ არა დეტალებში ჩართული, ნათლად დაინახავს იმ საფრთხეებს, რომელიც ამ ცვლილებებიდან მოდის და შესაბამის სიტყვას იტყვის, — განაცხადა დავით რაქვიაშვილმა.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის თანახმად, უქმდება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომლის ნაცვლად მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს ჩამოყალიბდება ეროვნული თავდაცვის საბჭო. მას საქართველოს პრეზიდენტი უხელმძღვანელებს. ეროვნული თავდაცვის საბჭო იფუნქციონირებს საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

# სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე 17 წევრი გამოაკლდა

73 წევრისგან შემდგარ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა სახით 14 წევრი გამოაკლდა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში თავიდანვე არ ჩაერთო კომისიის სამი წევრი: პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე და უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი.



სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას და მის მიერ შემუშავებული პროექტის იმ ვარიანტს, რომელსაც კენჭი კომისიის ბოლო სხდომაზე უნდა ეყაროს, მმართველი პარტიის გარდა, კომისიაში შემავალი ყველა პარტია გაემიჯნა.

საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში ოპოზიციური პარტიებიდან შემდეგი პირები შედიოდნენ: საპარლამენტო უმცირესობიდან: სერგი კაპანაძე, ოთარ კახიძე, გიორგი ტუღუში, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, მამუკა ჩიქოვანი, ირაკლი აბესაძე; ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრი — სალომე სამადაშვილი; ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრები: ირმა ინაშვილი და ნატო ჩხეიძე; პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე — შალვა შავგულიძე, „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ წარმომადგენელი დიმიტრი ლორთქიფანიძე, „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი გიორგი გუგავა და „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენელი ნიკა მაჭუტაძე. ყველა ამ პირმა კომისია დატოვა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების გათვალისწინებით, კომისიამ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის საბოლოო ტექსტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდა მიიღოს. კომისიის დასკვნითი სხდომა კვირის ბოლოს გაიმართება.

# თურქეთი დიდგორობის, 12 აგვისტოს, უქმე დღედ გამოცხადებას გვიკრძალავს?

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ხელისუფლებავ, თუკი შენ 12 აგვისტოს თურქეთის შეურაცხმყოფელი და თავხედური ქმედების შემდეგ არ გამოაცხადებ, შენ სამუდამოდ დაკარგავ ნდობას ქართველი ხალხის თვალში, რადგან თურქეთმა შეურაცხყო წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი და დიდგორის გმირები, — ასეთია ნიკოლოზ მჟავანაძის პოზიცია.

ამ ამბავმა მხატვარი შოთა გლურჯიძეც აღაშფოთა. მან საქართველოს ხელისუფლებას „გამოსავალიც“ უპოვა.

— დიდგორობა გავაუქმოთ და „თურქ-სელჯუკთა განოციდის დღედ“ ვაღიაროთ. ვარანცოველ არაბებს დავუბრუნოთ თბილისის სიმბოლური გასაღები. კამოს ძეგლი გავხსნათ „ველისაპეტ-ორრულოვსის“ ქანდაკების ნაცვლად. „ნაჯმ ადდინ ილღაზის“ პროსპექტი გადავარქვათ აღმაშენებელს. ფრესკები კოხტად შევათეთროთ. ვაზიც გავჩეხოთ და ნესვი გავაშენოთ, თორემ რაღაც უხერხულია, მგონი, ჩვენ „სტრატეგიულ მეზობლებთან“ — წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გლურჯიძე.

* * *

ამ იაღლიშის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას მთელი რიგი დღესასწაულების აღნიშვნაზე დაფიქრება მოუწევს. მაგალითისთვის ბახტრიონის აჯანყების გახსენებაც კი არ ღირს. ხომ შეიძლება, ეს ირანს ეწყინოს. ამავე მიზეზით არ უნდა გავიხსენოთ კრწანისის ბრძოლაც და 300 არაგველის ხსენებასაც უნდა შევეშვათ.

ასევე გადასახედია 9 მაისის ამბავი. ერთხელაც იქნება და გერმანიას ეწყინება, რომ მის დასამარებას ვზეიმობთ. მერე რა, რომ ფაშისტური გერმანია იყო. ასე ილღაზიც არაა ერდოღანის დიდი პაპა, მაგრამ ეწყინათ, მისი ძლევა რომ გვიხარია.

სპორტულ ამბავშიც უნდა ვიფრთხილოთ. ქართველ ათლეტებს უნდა ჩამოვუწეროთ, რომელი ქვეყნის წარმომადგენლების ძლევა შეიძლება და რომლის არა.

ამ მხრივ ყველაზე უპრობლემოები ფეხბურთელები არიან. მათი მხრიდან უახლოეს მომავალში დიდი ქვეყნების ნაკრებების „ძლევაი საკვირველი“ მოსალოდნელი არ არის. მოჭიდავეებს და მორაგბეებს კი მკაცრი გაფრთხილება სჭირდებათ.

და ბოლოს, კიდევ კარგი, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არა გვაქვს, თორემ ხომ მოგვიწევდა 25 თებერვლის არშემჩნევა. სამაგიეროდ, 23 თებერვალს ვიზეიმებდით წითელი არმიის დღეს.

# „ნატოზე უარის თქმა რუსეთის მიერ საქართველოს მთლიან ოკუპაციას გამოიწვევს“

## როგორ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი

გულიკო ბალაძე



**დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან" აანალიზებს კრემლის მესვეურთა განცხადებებს საქართველოსთან, მის ოკუპირებულ ტერიტორიებთან და ქვეყნის ნატოში გაწევრიანების სურვილთან დაკავშირებით.**

– საქართველომ ნატოში გაწევრიანებაზე უარი რომ თქვას, აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან ერთად, ჩვენი ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიის ოკუპაციაც მოხდება. რუსეთთან კომპრომისზე წასვლა და ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმა ნიშნავს დანარჩენი ტერიტორიების ოკუპაციაზე თანხმობას, – აცხადებს მამუკა გვაძაბია.

***– ბატონო მამუკა, ლავროვის სოხუმში ჩამოსვლამდე გაკეთდა განცხადება, რომ საქართველო კვლავ განაგრძობს პრეტენზიის გამოთქმას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე, უარს აცხადებს, მოილაპარაკოს მათთან ძალის გამოუყენებლობაზე და ჯიუტად ისწრაფვის ნატოსკენ. საქართველოს აფხაზეთსა და ცხინვალზე პრეტენზია ყოველთვის ექნება, მაგრამ ვთქვათ, ნატოსთან დაკავშირებით დათმობა რას გამოიწვევს?***

– ნატო რომელიმე ხელისუფლების არჩევანი არ არის. ნატო ქართველი ხალხის არჩევანია. საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია ჩემი ცხოვრების არჩევანია მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში 1980-81 წლიდან. დღეს თუ ხვალ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, სადაც თავს დაცულად იგრძნობს.

***– თქვენ რომ იყოთ მოლაპარაკებაზე რუსულ მხარესთან და გითხრან, თუ უარს იტყვით ნატოზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაგიბრუნებთო, რას იზამდით?***

– აბსოლუტური რუსული ნარატივია, აბსოლუტურად რუსული პროპაგანდის ნაწილი და ე.წ. რბილი ძალის პროპაგანდაა. კატეგორიულ უარს ვეტყოდი. საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, ფორმალურადაც და იურიდიულადაც ნატოს არაწევრ ქვეყანას უფლება არ აქვს, ჩაერიოს დამოუკიდებელი ქვეყნის საქმეში, სად უნდა გაწევრიანდეს და სად – არა. საქართველომ ნატოში გაწევრიანებაზე უარი რომ თქვას, აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან ერთად ჩვენი ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიის ოკუპაციაც მოხდება.

***– როგორ?***

– რუსეთთან კომპრომისზე წასვლა და ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმა ნიშნავს დანარჩენი ტერიტორიების ოკუპაციაზე თანხმობას. ნატოზე უარის თქმით შეგნებულად კარტბლანშს მივცემთ ოკუპანტებს, მხოლოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კი არა, რუსული ბაზები დანარჩენ ტერიტორიებზეც განალაგონ. ეს არის რუსული ნარატივი, რომელსაც ზოგიერთი ვაიმოღვაწე წამოეგება ხოლმე.

***– იმპერიის მსახური გვსაყვედურობს, საქართველო უარს ამბობს, მოილაპარაკოს აფხაზებთან და ოსებთან ძალის გამოუყენებლობაზეო.***

– რომელ ძალის გამოუყენებლობაზეა საუბარი, რა ძალა აქვს ერთს ან მეორეს. აქ მთავარი ძალა რუსეთია. თუ ძალის გამოუყენებლობაზე რაიმე ხელშეკრულება გაფორმდება, რუსეთთან საერთაშორისო მეთვალყურეების მეშვეობით უნდა გაფორმდეს. როგორც კი რუსეთი წავა, ჩვენი და მათი შეცდომების გათვალისწინებით ძალიან კარგად მოველაპარაკებით აფხაზებსაც და ოსებსაც.

***– ჩვენი შეცდომები?***

– ყველა მხარის შეცდომებზე ვსაუბრობ. ჩემს თავსაც გავაკრიტიკებ. მე რაღაც პროცესების მონაწილე ვარ აფხაზეთში. ცენტრალური ხელისუფლებები ავტონომიურ ხელისუფლებას ისე მოექცა, რომ, ფაქტობრივად, შიგნიდანაც და გარედანაც კონფლიქტის გაღვივება ხდებოდა. აფხაზეთში ჯარის შეყვანა დანაშაული იყო. რა მოტივითაც უნდა შეეყვანათ ჯარი, ეს იყო სახელმწიფო დანაშაული.

***– თუმცა საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯარის გადაადგილების უფლება ჰქონდა.***

– არალეგიტიმურ ხელისუფლებას აფხაზეთში ჯარის შეყვანის არანაირი იურიდიული უფლება არ ჰქონდა. როცა ომი დაიწყო, 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებიც კი არ იყო ჩატარებული. სწორედ ეს მომენტი გამოიყენეს სეპარატისტებმა, ნაციონალ-სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა. მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც არსებობს რესურსი და ცენტრალური ხელისუფლება დღესაც არ იყენებს არსებულ რესურსს.

***– რა რესურსს არ იყენებს დღევანდელი ხელისუფლება აფხაზეთში?***

– დღეს აფხაზეთში თითო-ოროლა პირში, აფხაზებში, არის პროქართული განწყობები. ამ განწყობებს გაღვივების საშუალება არ აქვს.

***– რატომ არ გაქვთ გაღვივების საშუალება?***

– პროქართული განწყობების გაღვივებას ხელს უშლის დანაშაულის გამოუძიებლობა. ქართულმა მხარემ, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს და ოფიციალურად გააკეთოს განცხადება, აფხაზეთში ომი რატომ დაიწყო.

***– თუ აფხაზეთში ომის დაწყება შეფასდება, შედეგი რა იქნება?***

– როდესაც აფხაზეთში ომის დაწყება შეფასებული იქნება, იქ პროქართულ ელემენტებს გაღვივების საშუალება მიეცემათ. დამიჯერეთ, არ არიან ისინი პრორუსულები. მათ უნდათ, აფხაზეთი დასავლეთისკენ წავიდეს. შეფასებამდე არანაირი პირობები იმ ადამიანებს არ ექმნებათ, უბრალოდ, მოკლავენ. როდესაც ცენტრალური ხელისუფლება არ აღიარებს, რაც მოხდა აფხაზეთში და არ ამბობს, რას მოჰყვა აფხაზეთში ომი, ის პირები ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული.

***– რას მოჰყვა ომი აფხაზეთში?***

– აფხაზეთში ომი მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალებას.

***– ლავროვის სოხუმში ჩასვლას ყველა მხარე უარყოფითად აფასებს. თქვენი შეფასება როგორია?***

– რასაც ვიტყვი, სამწუხაროა – საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის აბსოლუტურ უმრავლესობას, მათ შორის, პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდება აფხაზეთში, წარმოდგენა და ხედვა არ აქვთ, რა უნდა მოხდეს აფხაზეთში. ეს სამწუხარო მოცემულობაა.

***– ამას რატომ ამბობთ?***

– ზერელე განცხადებები კეთდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. ნახეთ, მერამდენე ადგილზეა გამოკითხვებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. მოსახლეობის 8-9%-ს აღელვებს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. სანამ ასე იქნება, ვითარებაც შესაბამისი გვექნება. ეს პოლიტიკური ისტებლიშმენტის ბრალია. ნუ დავაბრალებთ უბრალო ადამიანებს, ისედაც ბევრი გასაჭირი და თავსატეხი აქვთ, რომ ადამიანურთან მიახლოებულად იცხოვრონ.

***– რა ხდება და რა უნდა მოხდეს ლავროვის სოხუმში ვიზიტის კონტექსტიდან გამომდინარე?***

– ლავროვი სოხუმში პირველად არ ჩასულა. იქ ე.წ. საელჩო 2008 წელს გაიხსნა. ახლა გახსნეს უფრო პომპეზური საელჩოს ახალი შენობა. სოხუმში გახსნილი რუსული საელჩოს შენობა თბილისში გახსნილი ამერიკის დიდი საელჩოს საპირწონეა.

***– თქვენს ამ განცხადებას კლანჭებს ჩაავლებენ ის ძალები, რომლებიც ხშირად ამბობენ, უარი ვთქვათ ნატოზე და დაველაპარაკოთ რუსეთსო, ანუ თუ რუსეთი ამერიკის ჯიბრზე სოხუმში საელჩოს ხსნის, უნდა შევეშვათ ამერიკასთან მეგობრობასო.***

– ამას ან მოღალატე ამბობს, ან პროფანი, პოლიტიკაში ჩახედული არ არის, ან კიდევ მოსყიდულია. მე თქვენთან ინტერვიუში განვაცხადე, ტრამპი საქართველოსთვის ტრამპლინი გახდება-მეთქი. რაც ახლა ხდება, რაც ტრამპმა სირიაში გაუკეთა რუსეთს, ხომ ხედავთ. ნახავთ, რასაც გაუკეთებს ჩრდილოეთ კორეას, თუ ჭკუით არ იქნება. უბრალოდ, დღევანდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი დაკავებულია იმაზე ფიქრით, ხელისუფლებაში როგორ მოვიდეს და ხელისუფლებისგან რა სარგებელი ნახოს.

***– ეს ყველას ეხება?***

– ეს ეხება როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის აბსოლუტურ უმრავლესობას, თუმცა ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც არიან პატრიოტი და ზომიერი ადამიანები.

# ტერორისტები ყველა ფრონტზე გააქტიურდნენ

## ლონდონის პოლიციას ტერორისტი მძღოლებისთვის ცეცხლის გახსნის უფლება მისცეს

მარიამ მჭედლიშვილი

**პარიზის ცენტრში პოლიციელის მოკვლის გამო პასუხისმგებლობა იკისრა ისლამურმა სახელმწიფომ. თავდამსხმელმა ესროლა პოლიციელს და მიმალვას ცდილობდა. მას სამართალდამცავები დაედევნნენ. ამის შედეგად დაიჭრა ორი პოლიციელი და დაშავდა გამვლელი. ტერორისტი განადგურებულია. მის თანამზრახველს ეძებენ.**




ლიკვიდირებული ტერორისტი ცნობილი იყო უშიშროების სამსახურებისათვის. იგი არ მალავდა, რომ პოლიციელების დახოცვას გეგმავდა.

მორიგმა ტერაქტმა პარიზის ცენტრში იმოქმედა მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაზე – პრეზიდენტობის კანდიდატებმა ფრანსუა ფიიონმა და მარინ ლე პენმა გააუქმეს დაგეგმილი შეხვედრები ამომრჩევლებთან.

ისლამური სახელმწიფო, იგივე დაიში, ღიად ემუქრება ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს, ასევე რუსეთს. ისლამური სახელმწიფო აგრძელებს თავის მოქმედებებს ახლო აღმოსავლეთში. ამის წინააღმდეგ გამოყენებულმა ზომებმა დიდი შედეგი ვერ მოიტანა. ახალი ანტიტერორისტული კოალიციის შექმნა ისევ იგეგმება. რამდენიმე დღის წინ ტერორისტებმა ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგ ამ რეგიონში იპრიტი გამოიყენეს.

გახშირდა ტერორისტული აქტები ავტომანქანების გამოყენებით. ასეთი ტერაქტების დროს მძღოლი ეჯახება და ხოცავს მშვიდობიან მოქალაქეებს. ამის გამო დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ პოლიციას მისცა უფლება, გაუხსნას ცეცხლი იმ ტერორისტ მძღოლებს, რომლებიც მანქანას იარაღად იყენებენ. აქამდე მათ ეს აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ ლონდონში, ბერლინში, ნიცასა და სტოკჰოლმში ავტომანქანების საშუალებით მომხდარი სისხლიანი ინციდენტების შემდეგ წესები შეიცვალა.

დაახლოებით ორი თვის წინ ჩეჩნეთში სამხედრო ქალაქზე თავს დაესხნენ მძინარე სამხედროებს. თავიდან ორგანიზატორი დადგენილი არ იყო. მოგვიანებით ამაზე პასუხისმგებლობაც ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. ამ ტერაქტის შედეგად 6 სამხედრო დაიღუპა, 3 კი მძიმედ დაიჭრა. გამოძიების მონაცემებით, თავდამსხმელებს რუსეთის სამხედრო გვარდიის ამ ნაწილიდან იარაღის გატაცებაც უნდოდათ.

ჩრდილოეთ კავკასიაში დაიში მუდმივად მოქმედებს და ხანდახან სკოლებსაც კი წვავს. მის რიგებს შეუერთდა იმარატ კავკასიის ბევრი მებრძოლი.

სპეციალისტები ტერორისტების გააქტიურებას მოელიან, განსაკუთრებით – ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე რუსეთის დიდ ქალაქებში.

– საერთაშორისო ტერორისტები აძლიერებენ „ბოევიკების“ გადაბირებას, ადგილობრივი იატაკქვეშა ბანდების აქტივიზაციასა და თავიანთი იდეოლოგიის პროპაგანდას ჩრდილოეთ კავკასიაში, – განაცხადა ორი დღის წინ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა.

მისი თქმით, გაზრდილია ტერორისტულ და ექსტრემისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაული. ჩრდილოეთ კავკასიიდან სირიაში ისლამური სახელმწიფოს რიგებში საბრძოლველად წასულია 2.700 ჩრდილოკავკასიელი.

არის შემთხვევები, როცა ტერორისტებთან წასული შვილების მოსაძებნად და დასაბრუნებლად ახლო აღმოსავლეთში მიდიან მშობლები. დაღესტნის ახვახის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა კიზიმ ნურმაგომედოვმა ორწლიანი მძიმე შრომის შემდეგ შვილი დააბრუნა. ამისათვის მას არაერთხელ მოუხდა საზღვრების დარღვევა და საეჭვო შუამავლებთან კონტაქტები.

დაღესტანში ტერორისტები განსაკუთრებულად აქტიურობენ. ამის საწინააღმდეგო კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმი დაღესტანში ერთი დღის წინაც გამოაცხადეს. 2016 წელს დაღესტანში 30-ზე მეტი სპეცოპერაცია ჩატარდა. ამ ოპერაციების დროს გაანადგურეს „ბოევიკების“ 4 დაჯგუფება და ტერორისტების 17 ლიდერი. აღიკვეთა სირიაში წასვლის 38 შემთხვევა.

მიუხედავად ამისა, ექსპერტების აზრით, ჯიჰადისტები აქტიურდებიან. მათი აზრით, ამ დაჯგუფებების ზედა ფენის განადგურება არ ნიშნავს ტერორისტული მოძრაობის დამარცხებას, მით უმეტეს მაშინ, როცა რადიკალ ისლამისტებს დიდი დაფინანსება და აწყობილი სტრუქტურები აქვთ.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გიორგი კვირიკაშვილი: „საქართველო პატარა, თუმცა უზარმაზარი ენერგიის მქონე ქვეყანაა“



— უნგრეთის დელეგაციას გთხოვთ, აღიქვათ საქართველო სანდო, მდგრად ქვეყანად, რომელსაც გააჩნია მტკიცე საგარეო პოლიტიკა, რაც არის ძალიან ხელშემწყობი ფაქტორი თქვენი ბიზნესაქტივობისთვის. მე მოვუწოდებ უნგრეთის ბიზნესდელეგაციას, გამოიყენოს თანამშრომლობის ეს შესანიშნავი შესაძლებლობა!

ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა საქართველო-უნგრეთის ერთობლივ ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. ვიქტორ ორბანმა ქართველ კოლეგასთან გამართული მოლაპარაკებების შედეგებზე ისაუბრა.

— პირველ რიგში, მინდა უნგრეთის დელეგაციას გავუზიარო ვიზიტის შესახებ ჩემი შთაბეჭდილებები და დავარწმუნო ისინი, რომ საქართველო მართლაც სტაბილური ქვეყანაა.

გიორგი კვირიკაშვილი, რომელსაც პრემიერმინისტრობამდე ასევე ეკავა ეკონომიკის მინისტრის თანამდებობა, გახლავთ, მართლაც, ყველაზე წარმატებული მინისტრი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში. ის ცნობილია ეფექტური ეკონომიკური რეფორმების გატარებით და ფაქტია, რომ ძალიან წარმატებული პოლიტიკური ფიგურაა. ჩვენი მოლაპარაკებების შედეგად, მე დავრწმუნდი, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს გაატაროს მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმები. მე ვაღიარებ რეფორმებს, რომლებიც მიმართულია საგადასახადო სისტემის მოდერნიზებისკენ. მოხდა განათლების სისტემის ფორმირება, დაკმაყოფილდა ეკონომიკური საჭიროებები განათლების შესაძლებლობების წყალობით და სხვა მთელი რიგი საკითხები, მათ შორის, მოგვარდა ბიუროკრატიის პრობლემები. ის შედეგები, რომლებიც თქვენს ქვეყანაში ვიხილეთ, გვაძლევს საფუძველს, რომ ვთქვათ: საქართველო არის კარგი მაგალითი უნგრეთისთვის, — აღნიშნა ვიქტორ ორბანმა.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა საქართველო-უნგრეთის ურთიერთობებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის ისტორიულად არსებულ მეგობრულ და მტკიცე კულტურულ კავშირებს.

— თითზე ჩამოსათვლელია ქვეყნები მსოფლიოში, რომელთანაც შეიძლება ითქვას, რომ არანაირი კონფლიქტი არ არსებობს წარსულში. საქართველოსა და უნგრეთს შორის არანაირი ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს და არც არსებულა. ამიტომ, მოდით ვიფიქროთ უფრო მეტად მომავალზე.

საქართველო არის ის ქვეყანა, რომელიც ფიქრობს მომავალ ურთიერთობებზე. ეს არის თავისუფალი აზროვნების ქვეყანა, რომელიც ისწრაფვის სუვერენიტეტისკენ და გააჩნია უმაღლესი კულტურა. უნგრელებს გვსურს, რომ ვიფიქროთ იგივე მიმართულებით, იგივე გზით. ფაქტობრივად, საქართველოს ამბიციები არის ახლოს ჩვენი ქვეყნის ამბიციებთან. ჩვენ პოლიტიკოსებმა ყველაფერი ვცადეთ, რაც შეგვეძლო ამ თანამშრომლობის ხელშესაწყობად. ახლა ჯერი ბიზნესზეა, თქვენი აქტივობები არის ღია, ხოლო პოლიტიკური ურთიერთობა სრულყოფილი, — განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

ბიზნესფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, უნგრეთი საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორია, რომელთანაც კიდევ უფრო გაძლიერდება და გააქტიურდება პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები.

გიორგი კვირიკაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველო სულ უფრო საინტერესო ხდება ევროპული ბიზნესსაზოგადოებისთვის. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ორი ქვეყნის ურთიერთობებს დინამიური უწოდა და ხაზი გაუსვა ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას.

სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის ბიზნესშესაძლებლობებსა და საინვესტიციო პოტენციალზე ისაუბრა.

— საქართველო პატარა, თუმცა უზარმაზარი ენერგიის მქონე ქვეყანაა, რომელიც ევროპასა და აზიის გზაგასაყარზეა. 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ჩვენ ევროპული მიზნისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით. მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ ევროპული რეგულაციებისა და სტანდარტების საქართველოში დანერგვის კუთხით. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი, სამართლიანი, ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისკენაა მიმართული და ჩვენ ვახორციელებთ რეფორმების ამბიციურ დღის წესრიგს, რომელიც დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს მთავრობა ახდენს რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის იმპლემენტაციას, — აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა აქვს, რაც მოიცავს საგარეო ვაჭრობის გამარტივებულ რეჟიმსა და სავაჭრო პროცედურებს, დაბალ ტარიფებს იმპორტზე და მინიმალურ არასატარიფო რეგულაციებს.

— ღია ბიზნესგარემოსთან ერთად, გასათვალისწინებელია ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა — საქართველო, ერთი შეხედვით, შეიძლება მცირე ბაზრად მოგვეჩვენოს, თუმცა საქართველო, როგორც რეგიონული ჰაბი, სრულიად სხვა სურათს გვთავაზობს. საქართველო არა მარტო სამხრეთ კავკასიის გზაგამტარია, არამედ ის ხსნის გზას ცენტრალური აზიის, ევროკავშირისა და შორეული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბაზრებზე. ჩვენ გთავაზობთ წვდომას თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გაფორმების გზით ვქმნით შესაბამის ნორმატიულ წვდომასაც, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველო და უნგრეთი სრულად აითვისებს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში არსებულ პოტენციალსა და უდიდეს შესაძლებლობებს, რასაც, მისი თქმით, ხელს უწყობს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედება.

# ავტოიმპორტიორებს შეკვეთები 70-80%-ით შეუმცირდათ“



ავტოიმპორტიორი კომპანიები შეკვეთების შემცირებაზე საუბრობენ. მათი თქმით, ამის მიზეზი 2017 წლიდან მსუბუქი ავტომობილების გარკვეულ კატეგორიაზე აქციზის ზრდაა.

როგორც კომპანია „რობანი მოტორსის“ თანადამფუძნებელი ელგუჯა ჯამაგიძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, ბოლო დროს მათ კომპანიას შეკვეთები 80%-ით შეუმცირდა.

— შეკვეთები მნიშვნელოვნად არის შემცირებული. უშუალოდ ჩვენს კომპანიაში შეკვეთა 80%-ით შემცირდა. მოქალაქეები, რომლებიც მანქანის გამოცვლასა და განახლებაზე ფიქრობდნენ, ახლა გაჩერებული არიან. ასე თუ გაგრძელდა, საქართველოში ავტოპარკი ვეღარ განახლდება. ცოტა ხანი მოითმინეთ და ნახავთ რა დონემდე დავა ის მანქანები, რომელიც ქალაქში მოძრაობს, — აცხადებს ჯამაგიძე.

იმპორტიორი კომპანიებისგან განსხვავებით, რუსთავის ავტობაზრობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივ ბაზარზე არც ფასები შეცვლილა და მოთხოვნაც დაახლოებით იმ დონეზეა, როგორც წინა წლებში იყო. ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ჯერ-ჯერობით ადგილობრივ ბაზარზე არსებული ავტომობილების რეალიზაცია ხდება.

ბაზარზე მოთხოვნის შემცირებაზე საუბრობს „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი. ვასო ურუშაძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ დღეს ძირითადად მხოლოდ მარჯვენასაჭიან ელექტრომობილებზეა მოთხოვნა, რადგან მათი განბაჟება ნულოვანია.

მისივე თქმით, ფასების თვალსაზრისით, მართალია, ჯერ ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა, თუმცა ავტომობილების გარკვეულ კატეგორიებზე გაძვირების ტენდენცია მაინც შეინიშნება.

— ბაზარზე მოთხოვნა შემცირდა. იმპორტიორი კომპანიები ამბობენ, რომ შეკვეთები 70-80%-ით შემცირდა. ამ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე არსებული ავტომობილების გაყიდვა ხდება. აქედან გამომდინარე, ფასების თვალსაზრისით ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილება ჯერ არ მომხდარა, მაგრამ გაძვირების ტენდენცია მაინც შეინიშნება. მაგალითად, წინა წელთან შედარებით უკვე გაზრდილია იმ ავტომობილების თვითღირებულება (თუნდაც ჰიბრიდული ავტომობილების), რომლებზეც დიდი მოთხოვნაა, — აღნიშნა ურუშაძემ.

„საქსტატის“ მონაცემებით კი, 2017 წლიდან ავტომობილებზე აქციზის ზრდის მიუხედავად, ქვეყანაში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი თანხობრივ გამოსახულებაში იზრდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 4 მილიონი დოლარით გაიზარდა. გასულ თვეებში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 105 მილიონი დოლარი იყო, მაშინ როცა 2016 წლის იანვარ-მარტში იმპორტმა 101 მილიონი დოლარი შეადგინა.

2017 წლის იანვრიდან „საგადასახადო კოდექსში“ შესული ცვლილებების თანახმად, მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა, მარჯვენასაჭიანების შემთხვევაში გასამმაგდა, ჰიბრიდული ავტომობილების შემთხვევაში კი შემცირდა.

# ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის ყველაზე მეტი ჯარიმა ძველი თბილისის ტერიტორიაზე დაიწერა

ქუჩაში ნაგვის დაყრისთვის 2 დღეში 27 ადამიანი დაჯარიმდა. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ შპს „თბილსერვის ჯგუფში“ განუცხადეს.

როგორც სამსახურში აღნიშნავენ, აქედან 21 – ქართველი, 6 კი უცხოელია. კერძოდ, დაჯა-



რიმდნენ იორდანიის, სომხეთის, ეგვიპტის, უნგრეთის, რუსეთისა და ირანის მოქალაქეები.

რაც შეეხება საჯარიმო ოქმებს, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ინფორმაციით, ყველაზე მეტი – 24 საჯარიმო ოქმი 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით, კერძოდ, სიგარეტის ნამწვით გარემოს დანაგვიანებაზე შედგა, რაც 80-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

1-1 ფაქტი დაფიქსირდა პოლიეთილენის პარკისა და მუყაოს ყუთის ქუჩაში დაგდებაზე, რაც ასევე 80 ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებს. 1 შემთხვევაში კი მუნიციპალურ ტერიტორიაზე სამშენებლო ნარჩენის უკანონოდ განთავსების გამო იურიდიული პირი 500 ლარით დაჯარიმდა.

რაც შეეხება უბნებს, როგორც „თბილსერვის ჯგუფში“ „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადეს, ყველაზე მეტი – 4 საჯარიმო სანქცია ძველ თბილისის (ლესელიძე, ნარიყალა) ტერიტორიაზე დაიწერა. ამასთან, მოქალაქეთა დაჯარიმება მოხდა ალმაშენებლის, რუსთაველის გამზირის, ელბაქიძის აღმართისა და ვაკის პარკის ტერიტორიებზე.

„თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტორებმა ნაგვის დაყრისთვის მოქალაქეების დაჯარიმება 20 აპრილიდან დაიწყეს.

# საქართველოში ავტომობილების 91% 10 წელზე მეტი ასაკისაა




გასულ წელს საქართველოში ავტოპარკი 8%-ით გაიზარდა. ავტოპარკის 81,6%-ს მსუბუქი და მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანები შეადგენს. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის სტატისტიკით, ქვეყანაში სულ 1.126.470 ავტომანქანაა რეგისტრირებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოპარკის მიხედვით, რომელთა უმრავლესობა რუხი/ვერცხლისფერი (29%) და თეთრი (16%) ფერისაა. ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (91%) 2007 წლამდეა წარმოებული. 3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1,3%-ს შეადგენს.

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულიაMERCEDES-BENZ-ის დაOPEL-ის მარკის ავტომანქანები. 2016 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა NISSAN-ის (31%-ით) და TOYOTA-ს (31%-ით) რაოდენობები.

როგორც პირველადი რეგისტრაციებიდან ირკვევა, კაცები უპირატესობასMERCEDES-BENZ– ის მარკის ავტომანქანებს ანიჭებენ, ხოლო ქალები –TOYOTA-ს. მოდელებიდან კაცებში პირველ ადგილზეა MERCEDES-BENZ E, ხოლო ქალებში ლიდერობს NISSAN TIIDA.

3 წლამდე ასაკის ავტომანქანებიდან 2016 წელს ყველაზე მოთხოვნადი იყოTOYOTA (1398), რომელსაც მოსდევსFORD (350), HYUNDAI (290), MERCEDES-BENZ (269), SKODA (227) და ა.შ.

2016 წელს იმპორტის მოცულობა 4.7%-ით გაიზარდა, ხოლო ექსპორტ-რეექსპორტი 16.7%-ით შემცირდა. იმპორტის მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა დეკემბერში, (მთელი იმპორტის 14.7%), ხოლო ექსპორტ-რეექსპორტისა – ოქტომბერში (მთელი ექსპორტ-რეექსპორტის 12.6%).

ამავე მონაცემებით, იმპორტიორ ქვეყნებში იაპონია კვლავ ლიდერია. იაპონიიდან იმპორტმა 2016 წელს მთელი იმპორტის 45% შეადგინა.

ამასთან, მსუბუქი ავტომანქანების უმრავლესობა (45%) სედანის ტიპისაა, თუმცა 2016 წელს უფრო მოთხოვნადია „ჰეტჩბეკი“ ძარის ტიპის მქონე ავტომანქანები. როგორც სამგზავრო, ასევე სატვირთო ავტომანქანებში ლიდერობს FORD, რომელიც სამგზავროების 47%-ს შეადგენს, ხოლო სატვირთოების – 30%-ს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების 89% კერძო პირების მფლობელობაშია. ავტოტრანსპორტის 36,7% თბილისში რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ირიცხება.



# ხაბაროვსკში ფსბ-ში უცნობმა 2 კაცი მოკლა

ხაბაროვსკში რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის შენობაში ახალგაზრდა მამაკაცი შეიჭრა და სროლა ატეხა, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა, ერთი კი დაიჭრა. თავდამსხმელს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს და მოკლეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდამსხმელი 18 წლის იყო და ის ადგილობრივი ნეონაცისტების ჯგუფის წევრად ითვლებოდა.

21 აპრილს დილით ხაბაროვსკში თავდასხმა მოხდა ტირზე, სადაც ტირის მფლობელი მოკლეს და დიდი ოდენობის იარაღი წაიღეს. გამოძიება ვარაუდობს, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი კითხვაა პასუხგაუცემელი.

დაჭრილი მამაკაცის მდგომარეობა მძიმეა, ამიტომ შესაძლოა მსხვერპლი გაიზარდოს.



# სირიაში რუსი სამხედრო მრჩეველი დაიღუპა

სირიელ პარტიზანებთან შეტაკებაში რუსი სამხედრო მრჩეველი, მაიორი ბოდროვი დაიღუპა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა.

— ტერორისტები სამხედრო ქალაქს თავს დაესხნენ. მაიორმა ბოდროვმა მათ გზა გადაუჭრა და საკუთარი სიცოცხლის ფასად ტერორისტების სამხედრო ქალაქში შეჭრა არ დაუშვა, — ნათქვამია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შეტყობინებაში.

## კალეიდოსკოპი



### ლოს-ანჯელესის აეროპორტში პაპარაცებმა ვიქტორია ბექჰემს უმღერეს

რეპორტიორები დიზაინერ ვიქტორია ბექჰემს ლოს-ანჯელესის აეროპორტში მისი დაბადების დღეს შეეგებნენ და ამ დღისადმი მიძღვნილი სიმღერა შეუსრულეს. ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს, რომელმაც ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერიც გამოაქვეყნა. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის დევიდ ბექჰემის მეუღლე 17 აპრილს 43 წლის გახდა, თუმცა პაპარაცებმა მას დაბადების დღე ერთი დღის დაგვიანებით მიულოცეს.

გამოცემის ცნობით, ბექჰემი ერთ-ერთი ყველაზე ფოტოგრაფირებადი ქალია მსოფლიოში. ამიტომ აეროპორტში ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების დახვედრა მოდელიერისთვის სრულიად ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს.

### ბრიტანელი მეცხვარე რეივერებს შავ მაგიაში სდებს ბრალს



ბრიტანელი მეცხვარე ამტკიცებს, რომ მის ფერმაში მოწყობილი იატაკქვეშა რეივის სტუმრები შავი მაგიით იყვნენ დაკავებულები და მათ ბატკანს თავი მოაჭრეს.

რეივზე, რომელიც ღამის სამ საათზე დაიწყო, დაახლოებით 600-მა ადამიანმა მოიყარა თავი. პოლიციამ 11 მათგანი დააკავა და გზა გადაკეტა, თუმცა ღონისძიების მიმდინარეობისთვის ხელი უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ შეუშლია.

ფერმერი ამტკიცებს, რომ ახალდაბადებულ ბატკანს რიტუალის შესრულების დროს მოაჭრეს თავი. მისი თქმით, მათ საძოვარზე დატოვეს ექსკრემენტები, ქილები, ბოთლები, ნარკოტიკების მიღებისთვის საჭირო საშუალებები.

პოლიციამ ვერ აღმოაჩინა კავშირი იატაკქვეშა რეივსა და ბატკანისთვის თავის მოჭრას შორის. ღონისძიების ორგანიზატორებმა ბრალდება უარყვეს და განაცხადეს, რომ მათ შეკრების ადგილი დაასუფთავეს.

### სპილომ სპლიყვი ნიანგისგან იხსნა



დიდი ბრიტანეთის მოქალაქემ ალექსანდრ მაკანგამ ვიდეოზე გადაიღო ნიანგის სპლიყვზე თავდასხმის მომენტი. მის მიერ იუთუბიში განთავსებული ვიდეორგოლი 270 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

ინციდენტი მალავიში ლივონდეს ეროვნულ პარკში მოხდა. მტაცებელმა პატარა სპილოს პირი ხორთუმში სტაცა, რომელიც სპილოების ჯოგთან ერთად იყო მისული წყალსატევთან. სპილოებმა ჯერ შეშინებულებმა უკან დაიხიეს და პატარები ზურგს უკან დამალეს, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთი მოზრდილი სპილო სპლიყვისკენ გაქანდა, დაეხმარა ხორთუმი გაეთავისუფლებინა მტაცებელისგან და შემდეგ ნიანგი იძულებული გახადა გაქცეულიყო.

### ვეშაპმა ტურისტებს შვილის მოფერების უფლება მისცა



ამერიკელი ტურისტები მოეფერნენ ვეშაპსა და მის ნაშიერს, რომლებსაც მექსიკის ქვემო კალიფორნიის შტატის სანაპიროსთან გადაეყარნენ.

ვეშაპმა და მისმა ნაშიერმა ოკეანის ზედაპირზე იმ ხომალდის მახლობლად ამოყვინთეს, რომელზეც ქალები იმყოფებოდნენ. დონ ფეუბერგმა, რომელიც ვეშაპებზე დაკვირვების ორგანიზაციიდანაა, ამ იშვიათი მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში გამოაქვეყნა. მისი თქმით, ვეშაპმა თავად უბიძგა საკუთარ ნაშიერს ხომალდისკენ.

# სროლა პარიზის ცენტრში



საფრანგეთის დედაქალაქში მორიგი ტერაქტი მოხდა. უცნობი პირები თავს დაესხნენ პოლიციელებს. ერთი პოლიციელი დაიღუპა, მეორე მძიმედ დაიჭრა. საპასუხო ცეცხლის შედეგად ერთი თავდამსხმელი მოკლეს, მეორემ გაქცევა შეძლო.

პოლიციამ მოკლულის ვინაობა დაადგინა. ის ქერიმ შალფი აღმოჩნდა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. თავის მხრივ, ყველა, ვინც მოკლულ ტერორისტს იცნობდა, ამბობს, რომ ის ერთ უწყინარი სულელი იყო.

— ის საჯაროდ აცხადებდა, რომ პოლიციელებს დახოცავს და ამის თაობაზე სოციალურ ქსელებშიც წერდა! — ამბობენ ისინი.



# ბორუსიის ავტობუსი რუსმა ააფეთქა?

გერმანიის პოლიციამ ვინმე სერგეი ვ. დააკავა. ის როგორც გერმანიის, ასევე რუსეთის მოქალაქეც არის. მას ბრალად საფეხბურთო კლუბ „ბორუსიის“ ავტობუსის აფეთქება დასდეს.

სერგეი ვ. ექსტრემისტი არ იყო. მას არცერთ ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირი არ გააჩნდა.

გამოძიების ვერსიით, სერგეი ვ.-ს „ბორუსიის“ აქციების ფასის დაცემა სურდა. ის იმედოვნებდა, რომ აფეთქება ამას ხელს შეუწყობდა.

— თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვერსიაა, — იტყობინება „დოიჩე ველე“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# რა განაპირობებს ორსულობის შეწყვეტას



ეკა ირემაშვილი

**ორსულობა ნებისმიერი წყვილისთვის ყველაზე სასიხარულო მოვლენაა, თუმცა ყოველთვის ორსულობა ბოლომდე ვერ მიდის და სხვადასხვა მიზეზების გამო წყდება.**
**რა განაპირობებს ორსულობის შეწყვეტას და რას ნიშნავს გენეტიკური პათოლოგია, ინფექციური პათოლოგია და ენდოკრინული პათოლოგია, ამ თემებზე კლინიკა „ინ ვიტრო"-ს მეან-გინეკოლოგი ნანი მარსაგიშვილი საუბრობს.**

**ნანი მარსაგიშვილი:**

– ორსულობის შეწყვეტას საფუძვლად უდევს რამდენიმე მიზეზი. პირველ რიგში ეს არის გენეტიკური დარღვევები, შემდეგ არის ენდოკრინული პათოლოგია, ასევე ინფექციური პათოლოგია.

***– რას ნიშნავს გენეტიკური პათოლოგია?***

– რაც შეეხება გენეტიკურ პათოლოგიას, აღმოჩნდა რომ ორსულობების 50 პროცენტი წყდება, სანამ მენსტრუაცია არის გადაცდენილი, ანუ განაყოფიერებიდან 2 კვირაში. რაც შეეხება მეორე 50 პროცენტს, ორსულობა წყდება მაშინ, როდესაც უკვე დასტურდება, რომ საშვილოსნოს ღრუში არის ორსულობა.

***– პათოლოგიაზე რას იტყვით?***

– არის ორნაირი პათოლოგია, როდესაც განაყოფიერების დროს მოხდა შემთხვევით შეცდომა და არ წარმოიქმნა სრულყოფილი ემბრიონი და მეორე, როდესაც შეცვლილი მუტანტური გენი გადაეცა ნაყოფს.

***– რომელი ინფექციები იწვევს ორსულობის შეწყვეტას?***

– ინფექციური გენეზი უმნიშვნელოვანესია. რომელი ინფექციები იწვევს ორსულობის შეწყვეტას და ეს არის ჰერპესვირუსული ინფექცია, ოღონდ მწვავე ფორმა როდესაც არის, ან თუ უკვე არსებული გამწვავდა, ციტომეგალოვირუსი, ტოქსოპლაზმა, ქლამიდიური ინფექცია.

***– რას ნიშნავს ორგანული პათოლოგია?***

– გამოვყოფ ორგანულ პათოლოგიებს ცალკე. ორგანული პათოლოგიაა, როცა საშვილოსნოს ღრუში არის წარმონაქმნი, რომელიც ხელს უშლის ორსულობის პროგრესირებას. ეს შეიძლება იყოს საშვილოსნოს ღრუს პოლიპი, საშვილოსნოს მიომა, თანდაყოლილი ტიხარი საშვილოსნოს ღრუში, რომელიც ძალიან ხშირად არის. შესაძლებელია იყოს შეხორცებითი პროცესიც.

***– როგორ ვლინდება ენდოკრინული პათოლოგია?***

– ენდოკრინული პათოლოგია გამოვლინდება სისხლის გამოკვლევით, ენდოკრინული სტატუსის შესწავლით, შემდეგ ხდება ჰორმონების გამოკვლევა და ჰორმონების მაკორეგირებელი თერაპიის დანიშვნა.

***– რატომ არის რთულად გამოსავლენი ინფექციური პათოლოგია?***

– ინფექციური პათოლოგია რთულად გამოსავლენია და იცით რატომ? ძირითადად ის მალე გადადის ქრონიკულ ფორმაში. რამდენჯერმე ხდება სისხლის აღება, რომ გამოვლინდეს არის თუ არა ესა თუ ის ინფექცია აღნიშნული ორსულობის შეწყვეტის მიზეზი.

***– გენეტიკური დარღვევის კორეგირება შესაძლებელია?***

– გენეტიკური დარღვევის კორეგირება არის ძალიან გართულებული. გამოკვლევა კეთდება ძირითადად კარიო ტიპის. კარიო ტიპი არის სასქესო ქრომოსომების განსაზღვრა. შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი არის რომელიმე პათოლოგიაზე, თორემ ისე ძალიან ბევრი პათოლოგიაა და ყველაფერზე გამოკვლევა ერთდროულად, ერთი ანალიზით შეუძლებელია.

***– რას ეტყვით მკითხველს?***

– გარდა გენეტიკური დარღვევისა, დაუძლეველი არაფერია – ოპერაციული ჩარევა იქნება, ენდოკრინული სტატუსის მოწესრიგება თუ ინფექციური აგენტის ნიველირება ორგანიზმში – ელიმინაცია.

სპორტი

# ფელიპე კოუტინიოს ფეხბურთისკენ გზა ბებიამ გაუკვალა




დღევანდელ ფეხბურთში სანახაობრივი მხარე შედარებით ნაკლებია, თუმცა, არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთი თამაშით ლაზათს სძენენ სპორტის ნომერ პირველ სახეობას. ერთ-ერთი მათგანი ბრაზილიის ნაკრებისა და ლივერპულის შემტევი ფელიპე კოუტინიოა.

ფინტები, რომლებითაც ბრაზილიელმა დატანჯა პრემიერლიგის მცველები, მშობლიურ ფაველაში დაამუშავა. ეს არის ფაველა და მანგეირა, რიოს ჩრდილოეთით. უკან სტადიონი „მარაკანაა", ირგვლივ – ბეტონის საწყობები.

13 წლამდე კოუტინიო ფუტსალს თამაშობდა. მშობლებმა მისი გარჯა ფირზე აღბეჭდეს და სკაუტებს აჩვენეს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, აგენტობა თავდაპირველად მისი მეგობრის ბებიამ ითავა. ბიჭი, რომელიც ძირითადად ბეტონზე თამაშობდა ფეხბურთს, მართლაც სასწაულებს ჩადიოდა ფუტსალში.

ერთხელ ბებია და ფელიპეს მამა, არქიტექტორი ჟოაო კარლოსი სახლში ისხდნენ: – რატომ არ მიაბარებთ ბიჭს საფეხბურთო აკადემიაში? – ჰკითხა ქალმა კაცს და ჟოაო კარლოსმაც ბავშვი „ვასკო და გამას" აკადემიაში წაიყვანა გასინჯვაზე.

ბიჭი კინაღამ მაშინვე შეელია საფეხბურთო ოცნებას. ყველა ვარჯიშობდა, ის კი მამას ეძებდა.

– თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი. გუნდში ყველა ყველას იცნობდა. აქედან გამომდინარე, მამას დავუწყე ძებნა. პირველი მატჩის წინ გამუდმებით ვტიროდი და თამაში არ მინდოდა, – ასე იხსენებს კოუტინიო მაშინდელ ამბებს.

სულ მალე ბრაზილიის ასაკობრივ ნაკრებში დაუძახეს. სწორედ მაშინ იფიქრა პირველად – მოვითმენ, იქნებ პროფესიონალიც კი გამოვიდეო.

მინდორზე კოუტინიოს ყველაფერი შეუძლია. ლივერპულის ქომაგებმა ტყუილად როდი შეარქვეს მას ჯადოქარი. მინდვრის გარეთ კი ის ერთი მორიდებული ბიჭია. 16 წლის იყო, როდესაც ინტერმა მიიწვია. იტალიაში გაფრინდა მშობლებთან, ძმასთან და გოგონა აინესთან ერთად. ეს ნიადაგის მოსინჯვა იყო. მალე კოუტინიო სრულწლოვანი გახდა და ისევ ჩავიდა იტალიაში.

– რა თქმა უნდა, ინტერში არ მქონდა საუკეთესო პერიოდი. იყო ტრავმები და ცოტას ვთამაშობდი, მაგრამ იქ გატარებული დრო ჩემი კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე ცხოვრებაში პირველად აღმოვჩნდი სახლიდან შორს და ეს გამოცდილება ძალიან დამეხმარა, – ამბობს კოუტინიო.

ცუდი ის იყო, რომ ინტერში ერთმანეთის მიყოლებით იცვლებოდნენ მწვრთნელები, თუმცა რეალურად ბრაზილიელს არცერთი მათგანი არ ენდობოდა.

ესპანეთში კოუტინიო უკვე თითქმის მარტო წავიდა. მასთან ერთად მხოლოდ აინე იყო.

– ჩვენ ერთი საერთო ნაცნობი გვყავდა. შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს ერთ-ერთ საღამოზე. ჩვენ დიდხანს ვისხედით და ვსაუბრობდით. მერე კი მან მკითხა, მინდოდა თუ არა, რომ მე მისი ბიჭი ვყოფილიყავი, – იხსენებს კოუტინიო. 17 წლიდან აინემ თავისი მომავალი ქმრის ხათრით ხელი აიღო სახლზე. ის არ აცდენდა ფელიპეს არცერთ შეხვედრას. კოუტინიო ძალიან ხშირად საჰაერო კოცნით ულოცავს გოლს თავის რჩეულს.

ესპანიოლში კოუტინიოს მთავარი მწვრთნელი, მაურისიო პოჩეტინო შეგირდზე უმაღლესი აზრის იყო.

– მას რაღაც მაგია აქვს ფეხებში. დიდებულად თამაშობს ფეხბურთს. რაც მთავარია, ის უბრალო ბიჭია, – ამბობდა ესპანელი ბრაზილიელზე.

თავის მხრივ, თავად კოუტინიოც ძალიან აფასებს იმ ნდობისათვის პოჩეტინოს, რომელიც მისგან მიიღო, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც ბრენდან როჯერსს აყენებს.

– მან მიმიღო ლივერპულში და ბოლომდე ირწმუნა ჩემი, მომცა დრო ადაპტაციისათვის. ეს ძალიან წამადგა. მე მის ღვაწლს ვერასოდეს დავივიწყებ. ის ისე მომექცა, რომ სამუდამო კვალი დატოვა ჩემში, – ამაგს არ ივიწყებს ბრაზილიელი.

ამჯერად კი კოუტინიო საოცრებებს იურგენ კლოპის გუნდში ჩადის...

# დავით გველესიანი: „საქართველოდან წასვლა მომიწევს"



ანსამბლ „რუსთავის" წევრი დავით გველესიანი აკეთებს განცხადებას, რომ საქართველოდან წასვლა მოუწევს. კონკრეტულ მიზეზზე ჯერჯერობით არ საუბრობს, მაგრამ აღნიშნავს, რომ გული აქვს ნატკენი ძალიან.

დავით გველესიანი:

– სამწუხაროა! ისევ საქართველოდან წასვლა მომიწევს.... აბა, რომელი ქვეყნის ემიგრანტებს შეგიერთდეთ, მომწერეთ. მხოლოდ იქ წავალ, სადაც დავჭირდები. შრომა არ მეზარება, მაგრამ მხოლოდ როგორც ხელოვანი.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ დავწერ მიზეზს... გული მაქვს ნატკენი ძალიან.



# ანიტა რაჭველიშვილი იტალიურმა გამოცემამ ყველაზე ლამაზ საოპერო მომღერლად დაასახელა

მეცო-სოპრანო ანიტა რაჭველიშვილი იტალიურმა გამოცემამ „ოპერა ლაიფ" ყველაზე ლამაზ საოპერო მომღერლად დაასახელა. ჟურნალისტმა მასიმილიანო მაზამ საუკეთესო ათეულის სია გამოაქვეყნა, სადაც ერთადერთი ქართველი საოპერო მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი მოხვდა და ისიც პირველ ადგილზე. ყველაზე ლამაზი საოპერო მომღერალი ქალბატონების ათეული კი ასეთია: ანიტა რაჭველიშვილი – მეცო-სოპრანო, ანა ნეტრებკო – სოპრანო, მაგდალენა კოზენა – სოპრანო, ევა მალი – სოპრანო, ტარია ტურუნენი – სოპრანო, ლანა კოსი – სოპრანო, მარია კალასი – სოპრანო, აიდა გარიფულინა – სოპრანო, დანიელა მაკი – მეცო-სოპრანო და აგუნდა კულაევა – მეცო-სოპრანო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა


# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ელ კლასიკომ ყველაფერი ჩრდილში მოაქცია

## სტატისტიკა, ფსონები

**ესპანეთში ელ კლასიკოა და ამით ყველაფერია ნათქვამი – ყველა სხვა თამაში ჩრდილშია მოქცეული. რეალი-ბარსელონა – ამ უქმეებზე ამაზე მაგარს ვერავინ ინატრებს. მატჩს, რომელსაც ყველაზე დიდი დატვირთვა აქვს. გარდა დერბისა, საჩემპიონო ბრძოლაც სასწორზეა – ბარსელონის გამარჯვებით ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის, თუ რეალი მოიგებს, თითქმის ჩემპიონია, ფიჭზე კატალონიელებს იმედის ნაწილი რჩებათ...**




### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 22.04 სუონსი-სტოკი | 2.25 | 3.1 | 3.5 |
| 22.04 ჰალი-უოტფორდი | 1.95 | 3.1 | 4.33 |
| 22.04 ვესტ ჰემი-ევერტონი | 3.4 | 3.1 | 2.25 |
| 22.04 ბორნმუთი-მიდლსბრო | 1.83 | 3.4 | 4.5 |
| 23.04 ბარნლი-მანჩესტერი | 6.0 | 3.2 | 1.7 |
| 23.04 ლივერპული-კრ.პალასი | 1.5 | 4.0 | 7.0 |

**სუონსი-სტოკი**

სუონსი: ***ტრავმ***-ჯეკ კორკი, ანგელ რანგელი, ნატან დაიერი

სტოკი: ***ტრავმ***-იბრაჰიმ აფელაი, ჯო ალენი

**ჰალი-უოტფორდი**

ჰალი: ***ტრავმ***-დავიდ მეილერი, ომარ ელაბდელოუ, რაიან მეისონი, უილიამ კინი

უოტფორდი: ***ტრავმ***-იუნის კაბული, მაურო ზარატე, რობერტო პერეირა

**ვესტ ჰემი-ევერტონი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-უინსტონ რიდი, პედრო ობიანგი, მაიკლ ანტონიო, ანჯელო ოგბონა, გოკჰან ტორე

ევერტონი: ***ტრავმ***-აარონ ლენონი, სიმუს კულემანი, რამირო მორი, ჯეიმს მაკკარტნი, იანიკ ბოლასიე

**ბორნმუთი-მიდლსბრო**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ენდრიუ სარმანი, ადამ ფედერიკი, კალუმ უილსონი

მიდლსბრო: ***ტრავმ***-ფაბიო

**ბარნლი-მანჩესტერი**

ბარნლი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ხუან მატა, ფილ ჯონსი, კრის სმოლინგი

**ლივერპული-კრ.პალასი**

ლივერპული: ***ტრავმ***-სადიო მანე, ადამ ლალანა, ჯორდან ჰენდერსონი, ოვიე ეჯარია

კრ.პალასი: ***ტრავმ***-სკოტ დანი, ჯეიმს ტომკინსი, ფრეიზერ კემბელი, ლოიკ რემი, კონორ უიკჰემი, პაპე სუარე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 32 | 24 | 3 | 5 | 65-27 | 75 |
| 2.ტოტენჰემი | 32 | 21 | 8 | 3 | 68-22 | 71 |
| 3.ლივერპული | 33 | 19 | 9 | 5 | 69-40 | 66 |
| 4.სიტი | 32 | 19 | 7 | 6 | 63-35 | 64 |
| 5.მანჩესტერი | 31 | 16 | 12 | 3 | 48-24 | 60 |
| 6.არსენალი | 31 | 17 | 6 | 8 | 63-40 | 57 |
| 7.ევერტონი | 33 | 16 | 9 | 8 | 60-37 | 57 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 12 | 8 | 13 | 39-42 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 31 | 11 | 7 | 13 | 37-40 | 40 |
| 10.უოტფორდი | 32 | 11 | 7 | 14 | 37-52 | 40 |
| 11.სტოკი | 33 | 10 | 9 | 14 | 37-48 | 39 |
| 12.ლესტერი | 32 | 10 | 7 | 15 | 41-53 | 37 |
| 13.ვესტ ჰემი | 33 | 10 | 7 | 16 | 44-59 | 37 |
| 14.ბარნლი | 33 | 10 | 6 | 17 | 33-47 | 36 |
| 15.კრ.პალასი | 32 | 10 | 5 | 17 | 44-52 | 35 |
| 16.ბორნმუთი | 33 | 9 | 8 | 16 | 45-63 | 35 |
| 17.ჰალი | 33 | 8 | 6 | 19 | 34-67 | 30 |
| 18.სუონსი | 33 | 8 | 4 | 21 | 37-68 | 28 |
| 19.მიდლსბრო | 32 | 4 | 12 | 16 | 23-39 | 24 |
| 20.სანდერლენდი | 32 | 5 | 6 | 21 | 26-58 | 21 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 22.04 მალაგა-ვალენსია | 2.37 | 3.3 | 3.0 |
| 22.04 ვილიარეალი-ლეგანესი | 1.7 | 3.3 | 2.7 |
| 22.04 ოსასუნა-ხიხონი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 22.04 ესპანიოლი-ატლეტიკო | 5.0 | 3.4 | 1.75 |
| 23.04 სოსიედადი-დეპორტივო | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 23.04 სელტა-ბეტისი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 23.04 ლას პალმასი-ალავესი | 1.05 | 3.3 | 3.6 |
| 23.04 რეალი-ბარსელონა | 2.15 | 3.6 | 3.2 |
| 24.04 ეიბარი-ბილბაო | 2.62 | 3.25 | 2.75 |

**მალაგა-ვალენსია**

მალაგა: ***ტრავმ***-ხოსე როდრიგესი, ხუანპი, ადალბერტო პენარანდა, მიგელ ტორესი, ბაქარი კონე, ზდრავკო კუზმანოვიჩი

ვალენსია: ***ტრავმ***-როდრიგო მორენო

**ვილიარეალი-ლეგანესი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ვიქტორ რუისი, სამუ, დენის ჩერიშევი, სერხიო ასენხო

ლეგანესი: ***ტრავმ***-ომარ რამოსი, დიეგო რიკო, ჯონ სერანტესი, რობერტ იბანესი

**ოსასუნა-ხიხონი**

ოსასუნა: ***ტრავმ***-ემანუელ რივიერე, უნაი გარსია, იმანოლ გარსია, მიგელ ფლანო, ხავიერ ფლანო, დიდიე დიუგარი, რაულ ლოე, ტანო ბონინი

ხიხონი: ***ტრავმ***-ხუან როდრიგესი, დუგლას პერეირა, ლაცინა ტრაორე

**ესპანიოლი-ატლეტიკო**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ოსკარ დუარტე

ატლეტიკო: ***ტრავმ***-მიგელ მოია, სიმე სიმე ვრსალიკო, კევინ გამეირო, აუგუსტო ფერნანდესი

**სოსიედადი-დეპორტივო**

სოსიედადი: ***ტრავმ***-ალვარო ოდრიზოლა, კარლოს მარტინესი, იმანოლ აგირეჩე

დეპორტივო: ***ტრავმ***-ფერნანდო ნავარო

**სელტა-ბეტისი**

სელტა: ***ტრავმ***-ჯუზეპე როსი

ბეტისი: ***ტრავმ***-კრისტიანო პიცინი

**ლას პალმასი-ალავესი**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხავი კასტელანო

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ

**რეალი-ბარსელონა**

რეალი: ***ტრავმ***-გარეთ ბეილი, პეპე, რაფაელ ვარანი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ხავიერ მასკერანო, რაფინია, ალექსის ვიდალი

**ეიბარი-ბილბაო**

ეიბარი: ***ტრავმ***-რუბენ პენა, ანაიც არბილია, ნანო, ფრან რიკო

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 31 | 23 | 6 | 2 | 82-33 | 75 |
| 2.ბარსელონა | 32 | 22 | 6 | 4 | 91-30 | 72 |
| 3.ატლეტიკო | 32 | 19 | 8 | 5 | 59-24 | 65 |
| 4.სევილია | 32 | 18 | 8 | 6 | 56-39 | 62 |
| 5.ვილიარეალი | 32 | 15 | 9 | 8 | 46-26 | 54 |
| 6.ბილბაო | 32 | 16 | 5 | 11 | 45-37 | 53 |
| 7.სოსიედადი | 32 | 16 | 4 | 12 | 48-45 | 52 |
| 8.ეიბარი | 32 | 14 | 8 | 10 | 52-44 | 50 |
| 9.ესპანიოლი | 32 | 13 | 10 | 9 | 44-42 | 49 |
| 10.სელტა | 31 | 13 | 5 | 13 | 48-51 | 44 |
| 11.ალავესი | 32 | 11 | 10 | 11 | 31-39 | 43 |
| 12.ვალენსია | 32 | 11 | 7 | 14 | 47-54 | 40 |
| 13.ლას პალმასი | 32 | 10 | 8 | 14 | 51-57 | 38 |
| 14.ბეტისი | 32 | 9 | 7 | 16 | 35-51 | 34 |
| 15.მალაგა | 32 | 8 | 9 | 15 | 36-49 | 33 |
| 16.დეპორტივო | 32 | 7 | 10 | 15 | 35-50 | 31 |
| 17.ლეგანესი | 32 | 6 | 9 | 17 | 26-49 | 27 |
| 18.ხიხონი | 32 | 5 | 7 | 20 | 34-64 | 22 |
| 19.გრანადა | 32 | 4 | 8 | 20 | 27-68 | 20 |
| 20.ოსასუნა | 32 | 3 | 8 | 21 | 32-73 | 17 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 22.04 ჰამბურგი-დარმშტადი | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 22.04 ბაიერნი-მაინცი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 22.04 ინგოლშტადი-ვერდერი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 22.04 აინტრახტი-აუგსბურგი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 22.04 ჰერტა-ვოლფსბურგი | 2.6 | 3.25 | 2.7 |
| 22.04 გლადბახი-დორტმუნდი | 3.6 | 3.3 | 2.05 |
| 23.04 ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 23.04 შალკე-ლაიფციგი | 2.8 | 3.25 | 2.5 |

**ჰამბურგი-დარმშტადი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლაი მიულერი, რენე ადლერი, ალბინ ეკდალი, იოჰან ჯურუ

დარმშტადი: ***ტრავმ***-პეტერ ნიემეირი

**ბაიერნი-მაინცი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჟერომ ბოატენგი

მაინცი: ***ტრავმ***-რობინ ქუაისონი, გაეტან ბუშმანი

**ინგოლშტადი-ვერდერი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ტობიას ლეველსი, მორიტც ჰარტმანი

ვერდერი: ***ტრავმ***-ტომას დელანეი, რობერტ ბაუერი, ლუკა კალდიროლა, მაქს ეგეშტეინი, კლემენს ფრიცი, იზეტ ჰაიროვიჩი, სამბუ იატარაბე

**აინტრახტი-აუგსბურგი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მეირი, მაკოტო ჰასებე

აუგსბურგი: ***ტრავმ***-რაფაელ ფრამბერგერი, კაიბუ

**ჰერტა-ვოლფსბურგი**

ჰერტა: ***ტრავმ***-ვალენტინ სტოკერი, ნიკლას სტარკი, მიჩელ ვეისერი, ფაბიან ლუშტენბერგერი, ჯულიან შიბერი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-იანს ჰორნი, პოლ ნტეპი, რიკარდო როდრიგესი, დიეგო ბენალიო, ჯეფრი ბრუმა

**გლადბახი-დორტმუნდი**

გლადბახი: ***ტრავმ***-რაფაელი, ფაბიან ჯონსონი, ნიკო შულცი, კრისტოფ კრამერი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ერიკ დურმი, ანდრე შურლე, მარიო გიოტცე

**ფრაიბურგი-ლევერკუზენი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მაქსიმილიან ფილიპი, ვიჩენცო გრიფო

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ხავიერ ერნანდესი, ჯონათან ტა, ლარს ბენდერი, ჰაკან ჩაჰანოღლუ

**შალკე-ლაიფციგი**

შალკე: ***ტრავმ***-მაქსიმ ჩუპო-მოტინგი, ნალდო, ბაბა რაჰმანი, ბრეელ ემბოლო

ლაიფციგი: ***ტრავმ***-ლუკას კლოსტერმანი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 21 | 6 | 2 | 71-15 | 69 |
| 2.ლაიპციგი | 29 | 19 | 4 | 6 | 55-30 | 61 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 29 | 14 | 12 | 3 | 56-31 | 54 |
| 4.დორტმუნდი | 29 | 15 | 8 | 6 | 62-33 | 53 |
| 5.ჰერტა | 29 | 13 | 4 | 12 | 37-35 | 43 |
| 6.ფრაიბურგი | 29 | 12 | 5 | 12 | 36-51 | 41 |
| 7.კიოლნი | 29 | 10 | 10 | 9 | 42-36 | 40 |
| 8.ვერდერი | 29 | 11 | 6 | 12 | 46-49 | 39 |
| 9.გლადბახი | 29 | 11 | 6 | 12 | 37-41 | 39 |
| 10.აინტრახტი | 29 | 10 | 8 | 11 | 29-33 | 38 |
| 11.შალკე | 29 | 10 | 7 | 12 | 38-34 | 37 |
| 12.ლევერკუზენი | 29 | 10 | 6 | 13 | 42-44 | 36 |
| 13.ვოლფსბურგი | 29 | 9 | 6 | 14 | 30-42 | 33 |
| 14.ჰამბურგი | 29 | 9 | 6 | 14 | 29-53 | 33 |
| 15.მაინცი | 29 | 9 | 5 | 15 | 37-47 | 32 |
| 16.აუგსბურგი | 29 | 8 | 8 | 13 | 28-46 | 32 |
| 17.ინგოლშტადტი | 29 | 8 | 4 | 17 | 31-50 | 28 |
| 18.დარმშტადტი | 29 | 5 | 3 | 21 | 21-57 | 18 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 22.04 ატალანტა-ბოლონია | 1.36 | 4.8 | 8.5 |
| 22.04 ფიორენტინა-ინტერი | 2.5 | 3.6 | 2.6 |
| 23.04 სასუოლო-ნაპოლი | 7.5 | 4.75 | 1.4 |
| 23.04 მილანი-ემპოლი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 23.04 ლაციო-პალერმო | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 23.04 კიევო-ტორინო | 3.0 | 3.3 | 2.37 |
| 23.04 უდინეზე-კალიარი | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 23.04 სამპდორია-კროტონე | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 23.04 იუვენტუსი-ჯენოა | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 24.04 პესკარა-რომა | 9.5 | 6.5 | 1.25 |

**ატალანტა-ბოლონია**

ატალანტა: ***ტრავმ***-ალეკსანდარ პეშიჩი, ლეონარდო სპინაზოლა, ბაქარი დრამე

ბოლონია: ***ტრავმ***-ადამ ნაგი, ლუკა რიცო, ფილიპ ელანდერი

**ფიორენტინა-ინტერი**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-გონსალო როდრიგესი

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**სასუოლო-ნაპოლი**

სასუოლო: ***ტრავმ***-კრისტინ დელორკო, დომენიკო ბერარდი, ფედერიკო რიცი, მარსელო გაზოლა, ფრანჩესკო მანანელი, დავიდე ბიონდინი

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**მილანი-ემპოლი**

მილანი: ***ტრავმ***-ანდრეა ბერტოლაჩი, იგნასიო აბატე, ჯაკომო ბონავენტურა, რიკარდო მონტოლივო

ემპოლი: ***ტრავმ***-უროს კოშიჩი

**ლაციო-პალერმო**

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარკეტი

პალერმო: ***ტრავმ***-კარლოს ემბალო, სლობოდან რაიკოვიჩი

**კიევო-ტორინო**

კიევო: ***ტრავმ***-ვალტერ ბირსა, სტეფანო სორენტინო, ნიკოლას ფრეი, ალესანდრო გამბერინი, ნიკოლას რიგონი, მასიმო გობი

ტორინო: ***ტრავმ***-ხუან იტურბე, კრისტიან მოლინარო, ლეანდრო კასტანი, ჯოე ობი

**უდინეზე-კალიარი**

უდინეზე: ***ტრავმ***-სვენ კუმსი, გაბრიელ ანჯელა, სამირი, სეკო ფოფანა, დავიდე ფარაონი

კალიარი: ***ტრავმ***-ლუკა ჯეპიტელი, დანიელე დესენა, ფედერიკო მელხიორი

**სამპდორია-კროტონე**

სამპდორია: ***ტრავმ***-ჯაკოპო სალა, ლუის მურიელი

კროტონე: ***ტრავმ***-არავინ

**იუვენტუსი-ჯენოა**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარკო პიაცა

ჯენოა: ***ტრავმ***-რუბინიო, არმანდო იზო, ადელ ტააბარტი, მატია პერინი

**პესკარა-რომა**

პესკარა: ***ტრავმ***-გულიელმო სტენდარდო, დავიდე ვიტურინი, სიმონე პეპე, ალბერტო ჯილარდინო

რომა: ***ტრავმ***-ემერსონი, ალესანდრო ფლორენცი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 26 | 2 | 4 | 64-20 | 80 |
| 2.რომა | 32 | 23 | 3 | 6 | 70-27 | 72 |
| 3.ნაპოლი | 32 | 21 | 7 | 4 | 75-33 | 70 |
| 4.ლაციო | 32 | 18 | 7 | 7 | 54-36 | 61 |
| 5.ატალანტა | 32 | 18 | 6 | 8 | 53-35 | 60 |
| 6.მილანი | 32 | 17 | 7 | 8 | 49-35 | 58 |
| 7.ინტერი | 32 | 17 | 5 | 10 | 59-37 | 56 |
| 8.ფიორენტინა | 32 | 14 | 10 | 8 | 50-41 | 52 |
| 9.ტორინო | 32 | 11 | 12 | 9 | 60-53 | 45 |
| 10.სამპდორია | 32 | 12 | 9 | 11 | 40-39 | 45 |
| 11.უდინეზე | 32 | 11 | 7 | 14 | 41-43 | 40 |
| 12.კალიარი | 32 | 11 | 5 | 16 | 45-62 | 38 |
| 13.კიევო | 32 | 11 | 5 | 16 | 35-49 | 38 |
| 14.ბოლონია | 32 | 9 | 8 | 15 | 29-46 | 35 |
| 15.სასუოლო | 32 | 10 | 5 | 17 | 40-50 | 35 |
| 16.ჯენოა | 32 | 7 | 9 | 16 | 32-53 | 30 |
| 17.ემპოლი | 32 | 6 | 8 | 18 | 20-50 | 26 |
| 18.კროტონე | 32 | 5 | 6 | 21 | 26-52 | 21 |
| 19.პალერმო | 32 | 3 | 7 | 22 | 25-67 | 16 |
| 20.პესკარა | 32 | 2 | 8 | 22 | 31-70 | 14 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 22.04 პსჟ-მონპელიე | 1.18 | 7.5 | 13.0 |
| 22.04 ბორდო-ბასტია | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 22.04 კაენი-ნანტი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 22.04 ლორიანი-მეცი | 1.73 | 3.8 | 4.4 |
| 22.04 ლილი-გენგამი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 22.04 დიჟონი-ანჟე | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 23.04 ტულუზა-ნიცა | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 23.04 სტ.ეტიენი-რენი | 2.15 | 3.0 | 3.8 |
| 23.04 ლიონი-მონაკო | 2.5 | 3.8 | 2.5 |

**პსჟ-მონპელიე**

პსჟ: ***ტრავმ***-ლავინ კურზავა, ჯულიან დრექსლერი, ჰატემ ბენ არფა, ტიაგო სილვა, გრჟეგოჟ კრიხოვიაკი

მონპელიე: ***ტრავმ***-ვილიამ რემი, იორის მარვო, კაზიმირ ნინგა

**ბორდო-ბასტია**

ბორდო: ***ტრავმ***-მაქსიმ პუნდიე, ტომას ტურე

ბასტია: ***ტრავმ***-ფლორიან მარანგე, სებასტიან სკილაჩი

**კაენი-ნანტი**

კაენი: ***ტრავმ***-მუჰამადუ დაბო

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

**ლორიანი-მეცი**

ლორიანი: ***ტრავმ***-ჯერემი ალადიერი, ვალიდ ვესლობი

მეცი: ***ტრავმ***-მეტიუ უდოლი

**ლილი-გენგამი**

ლილი: ***ტრავმ***-ადამა სუმარო, მარკო ბასა

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

**დიჟონი-ანჟე**

დიჟონი: ***ტრავმ***-არავინ

ანჟე: ***ტრავმ***-იოან ენდრიუ, ბილი კეტკეოპომპონე

**ტულუზა-ნიცა**

ტულუზა: ***ტრავმ***-დუშან ვეშკოვაჩი, კლემენტ მიჩელინი

ნიცა: ***ტრავმ***-მუნირ ობადი, ვილიამ ჩიპრიენი, ალასანე პლეა

**სტ.ეტიენი-რენი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ოსამა ტანანე, ლიოკ პერინი, ფლორენტინ პოგბა, ალექსანდერ სოდერლუნდი

რენი: ***ტრავმ***-მორგან ამალფიტანო

**ლიონი-მონაკო**

ლიონი: ***ტრავმ***-მაცეი რიბუსი

მონაკო: ***ტრავმ***-ჯიბრილ სიბიდე, ბოშილია, გვიდო კარილო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 32 | 24 | 5 | 3 | 90-27 | 77 |
| 2.პსჟ | 33 | 24 | 5 | 4 | 69-23 | 77 |
| 3.ნიცა | 33 | 21 | 10 | 2 | 55-27 | 73 |
| 4.ლიონი | 32 | 17 | 3 | 12 | 65-39 | 54 |
| 5.ბორდო | 33 | 14 | 10 | 9 | 47-39 | 52 |
| 6.მარსელი | 33 | 14 | 9 | 10 | 48-38 | 51 |
| 7.სტ.ეტიენი | 32 | 11 | 12 | 9 | 35-29 | 45 |
| 8.გენგამი | 33 | 12 | 8 | 13 | 40-44 | 44 |
| 9.რენი | 33 | 10 | 13 | 10 | 31-37 | 43 |
| 10.ნანტი | 33 | 11 | 9 | 13 | 31-47 | 42 |
| 11.ტულუზა | 33 | 10 | 11 | 12 | 34-35 | 41 |
| 12.მონპელიე | 33 | 10 | 9 | 14 | 47-55 | 39 |
| 13.ანჟე | 33 | 11 | 6 | 16 | 32-43 | 39 |
| 14.ლილი | 33 | 10 | 7 | 16 | 31-41 | 37 |
| 15.მეცი | 33 | 9 | 9 | 15 | 33-64 | 36 |
| 16.კაენი | 33 | 9 | 6 | 18 | 33-56 | 33 |
| 17.ნანსი | 33 | 8 | 7 | 18 | 25-44 | 31 |
| 18.ლორიანი | 33 | 9 | 4 | 20 | 37-64 | 31 |
| 19.დიჟონი | 33 | 6 | 11 | 16 | 41-52 | 29 |
| 20.ბასტია | 32 | 6 | 10 | 16 | 26-46 | 28 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 24 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 "წიგნების თარო" 15.00, 02.00 "C სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00, 03.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "ველვეტი" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 00.00 მხ/ფ "უბრალოდ ამყევი" (ჯ.ენისტონი)

08.00 დ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" 09.00 დ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანიმუშო სოფელში" 10.00 დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" 11.00 დ/ფ "მარი კიური" 12.00 ტ/სერ. "ევას სამი ვარდი" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ჩირლიდერები" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "ჩიკაგოს პოლიცია" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "მოთამაშე ქალი" (კ.კლაინი)

05.50, 14.40 სერ. "ელიფი" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "სტამბოლის ორი სახე" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.55 სერ. "ნამსხვრევები" 22.45 მხ/ფ "პირდაპირი მუქარა" 01.15 მხ/ფ "ლუმის ფარგოს ძარცვა" 03.05 მხ/ფ "პატრიოტთა თამაშები"

06.00, 18.30 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 06.45, 19.57 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუადღე" 13.55 სერ. "ყველაზე ლამაზი" 15.30 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 22.00 X-ფაქტორი

08.00 ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 09.00 სერ. "დოქტორი ჰაუსი" 10.00, 13.00 სერ. "აღქმა" 11.00, 17.00 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 სერ. "სასტუმრო" 19.00 სერ. "გაბოროტებული" 21.00 სერ. "ანგარიშსწორება" 22.30 მხ/ფ "ნიქსონი" 01.50 მხ/ფ "მისისიპის აჩრდილები"

06.15 ღვთის სახლი 06.35 პატერიკი-უფალი მცირე ღვაწლსაც არავის უკარგავს 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.25 საკვირაო სახარების განმარტება 10.35 დ/ფ "ძმას ხეობა" II ნაწ. 11.10 კვირიაკე 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ/ფ "არდადეგებზე" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ასპარაგუს" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "პლანეტა დედამიწა"-ყინულის სამყაროში 16.25 სპექტაკლი "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.30 მიწათმოქმედი "მორწყვა" 19.40 საქართველო ევროპულ ოჯახში 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი-როგორ შესაწირს შეიწყნარებს უფალი 21.30 საეკლესიო აღმშენებლობა 22.15 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "შალვა ქიქოძე" 22.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ღვთის სახლი "ჰერეთი" II ნაწ. 01.00 დ/ფ "სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) 8.00, 13.30, 15.30 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 18.50, 20.55 სერ. "მარისა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.50 სერ. "ბემი" 23.10 სერ. "ესკობარი" 1.00 "კონტაქტი" 1.30 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო"

## სამშაბათი 25 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10, 04.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 "წიგნების თარო" 15.00, 02.00 "C სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00, 03.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "ველვეტი" 22.00 თოქ-შოუ . სპორტი 360 23.00 მხ/ფ "პატრიოტი" (ჰ.ლეჯერი)

08.00 დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" 09.00 დ/ფ "ჩირლიდერები" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "იაპონია. იმპერატორი და ჯარი" 12.00 დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "პირველი ეთიოპელი ბერების კვალდაკვალ" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "ჩიკაგოს პოლიცია" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "მტირალა ბავშვი"

05.50, 14.40 სერ. "ელიფი" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.20 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "სტამბოლის ორი სახე" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.55 სერ. "ნამსხვრევები" 22.00 ცოდნა ფულია 23.30 მხ/ფ "ნათლია" 1 ნაწ. 02.30 მხ/ფ "დარტყმულები"

06.00, 18.30 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 06.45, 19.57 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუადღე" 13.55 სერ. "ყველაზე ლამაზი" 15.30 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი

08.00 ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 09.00, 13.00 სერ. "აღქმა" 11.00, 17.00 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 სერ. "სასტუმრო" 19.00 სერ. "გაბოროტებული" 21.00 სერ. "ანგარიშსწორება" 22.30 მხ/ფ "რიტუალი" 00.35 მხ/ფ "მკვლელობა რიცხვებით" 02.50 მხ/ფ "შეთქმულების თეორია"

06.10 სპექტაკლი "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" 07.40 დ/ფ "რა ხდება სიკვდილის შემდეგ" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 10.35 პატერიკი 10.40 დ/ფ "ყველაზე, ყველაზე...არაჩვეულებრივი მექანიზმები" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.30 საქართველო ევროპულ ოჯახში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 ტელეზღაპარი "ბასილას ზღაპარი" 15.50 ქრისტიანული ხელოვნება "ვაზისა და ღვინის თემა ქრისტიანულ ხელოვნებაში" 2 ნაწ. 16.30 სიმღერის კვალდაკვალ "სამედიცინო" (თბილისი) 17.05 ტალანტები და თაყვანისმცემლები "ელისო ვირსალაძე" 17.45 სიბრძნის მეტყველება 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 სამყაროს შექმნა 19.30 "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" II ნაწ. 19.50 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ღვთის სახლი "ფუძნარის ტაძარი" 00.30 სალვთისმეტყველო საუბრები 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) 8.00, 13.30, 15.30 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 18.50, 20.55 სერ. "მარისა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.50 თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" 22.50 სერ. "ესკობარი" 1.00 "კონტაქტი" 1.30 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო"

## ოთხშაბათი 26 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10, 03.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "ფერმა" 14.30 "სიტყვების თამაში" 15.00, 01.10 "C სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00, 02.10 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "ველვეტი" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 მხ/ფ "ძალაუფლებით თამაში" (ბ.აფლეკი)

08.00 დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" 09.00 დ/ფ "პირველი ეთიოპელი ბერების კვალდაკვალ" 10.00 "გეოფაქტორი" 10.20 დ/ფ "ბერლინი 1885 წელი" იერიში აფრიკაზე" 12.00 დ/ფ "სპუტნიკის წლები" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო"(მიმდინარე დღის) 17.00 დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "ჩიკაგოს პოლიცია" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "მორიელთა მეფე"

08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.15 ქრონიკა 08.15, 09.15, 14.40 სერ. "ელიფი" 10.05 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "სტამბოლის ორი სახე" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.55 სერ. "ნამსხვრევები" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 მხ/ფ "ნათლია" 2 ნაწ. 02.45 მხ/ფ "ტრანსფორმერები 3"

06.00, 18.30 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 06.45, 19.57 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუადღე" 13.55 სერ. "ყველაზე ლამაზი" 15.30 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე

08.00 ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 09.00, 13.00 სერ. "აღქმა" 11.00, 17.00 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 სერ. "სასტუმრო" 19.00 სერ. "გაბოროტებული" 21.00 სერ. "ანგარიშსწორება" 22.30 მხ/ფ "პიკასოსთან ცხოვრება" 00.55 მხ/ფ "მკვდარი პოეტების საზოგადოება" 03.20 მხ/ფ "ისტვიკელი ალქაჯები"

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" II ნაწ. 10.30 დ/ფ "ველური ბუნება" 11.10 მიწათმოქმედი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ასპენიუმი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 კონცერტი 16.20 წმინდანები "წმინდა მოწამე დიმიტრი ყიფიანი" 17.00 ეპოქა და ადამიანები "სოფიკო ჭიაურელი" 17.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ყვარყვარე" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 ჩვენი ამბავი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 ღვთის სახლი "ქურმუხის ტაძარი" 00.25 ისტორიის დღიური 01.00 საუკუნის პორტრეტები "იპოლიტე ხვიჩია" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) 8.00, 13.30, 15.30 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 18.50, 20.55 სერ. "მარისა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.50 სერ. "ბემი" 23.10 სერიასერ. "ესკობარი" 1.00 "კონტაქტი" 1.30 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო"

## ხუთშაბათი 27 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "დღე მუზეუმში" 14.30 "სიტყვების თამაში" 15.00, 03.00 "C სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "ველვეტი" 22.00 "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" 22.30 "ვექტორი" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ "2012"(ჯ.კიუსაკი)

08.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 09.00 დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 დ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" 11.15 დ/ფ "მონრეალი ტორონტო" 12.00 დ/ფ "ლეტიცია და მისი მგლები" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "ჩიკაგოს პოლიცია" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "ბოლო სახლი მარცხნივ"

08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.10 ქრონიკა 08.15, 09.15, 14.40 სერ. "ელიფი" 10.05 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "სტამბოლის ორი სახე" 18.50, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.55 სერ. "ნამსხვრევები" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 23.30 გრიფით საიდუმლო 00.00 მხ/ფ "ნათლია" 3 ნაწ. 03.00 მხ/ფ "დაუჯერებელი სიყვარული"

06.00 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 06.45 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუადღე" 13.55 სერ. "ყველაზე ლამაზი" 15.30 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 18.30 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 19.57 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 22.00 განსხვავებული აქცენტები 23.30 მხ/ფ P.S.

08.00 ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 09.00, 13.00 სერ. "აღქმა" 11.00, 17.00 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 სერ. "ანტიმაფია" 19.00 სერ. "გაბოროტებული" 21.00 სერ. "ანგარიშსწორება" 22.30 მხ/ფ "ატლანტის გულები" 00.30 მხ/ფ "ჩრდილოეთის ქვეყანა" 02.50 მხ/ფ "გრძნობით შეპყრობილნი"

06.15 ქრისტიანული სწავლება 06.25 მუს. პაუზა 06.40 პატერიკი 06.45 საუკუნის პორტრეტები "იპოლიტე ხვიჩია" 07.25 ქართული ალბომი 07.50 სამყაროს შექმნა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-დიმიტრი ყიფიანი 10.40 სალვთისმეტყველო საუბრები 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "ყვარყვარე" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.00 დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 ტრაპეზი-"ორაგული ყაბაყით" 15.35 დ/ფ "ველური ბუნება"-აფრიკა 16.00 კონცერტი 16.50 ქრისტიანული ხელოვნება "ახალი აღთქმის კრეტსაბმელი" 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "სამანიშვილის დედინაცვალი" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 ისტორიანი 21.30 დიდ ხარ შენ უფალო..."მეფე დავითი" II ნაწ. 22.20 ჩვენი საგანძური 22.40 ივერიის ეკლესია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.40 ღვთის სახლი 00.25 დ/ფ "ჩვენი ფეხბურთი" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) 8.00, 13.30, 15.30 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 18.50, 20.55 სერ. "მარისა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.50 თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" 22.50 სერ. "ესკობარი" 1.00 "კონტაქტი" 1.30 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო"

## პარასკევი 28 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" 15.00, 03.00 "C სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/ფ "ცნობისმოყვარეობა. ვულკანი ამოფრქვევის დროა" 21.00 ტ/სერ. "ველვეტი" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.00 მხ/ფ "გმირი" (ე.გარსია) 01.00 მხ/ფ "დონი ბრასკო" (ჯ.დეპი)

08.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 09.00 დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 დ/ფ "მესამე ხანა" 11.15 დ/ფ "ევროპა XX დამალული ეპიდემია" 12.00 დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ლანსის ლუვრიდროის გალერეა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "ეპიცენტრი" 22.00 ტ/სერ. "ჩიკაგოს პოლიცია" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "უსახელო"

08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 08.15, 09.15, 14.40 სერ. "ელიფი" 10.05 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "სტამბოლის ორი სახე" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.55 სერ. "ნამსხვრევები" 22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00 მხ/ფ "თავისუფლები" 02.15 მხ/ფ "ზარი 2" 04.10 მხ/ფ "სუპერ ფორსაჟი"

06.00, 18.30 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 06.45, 19.57 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუადღე" 13.55 სერ. "ყველაზე ლამაზი" 15.30 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 22 23.30 სერ. "სამშობლო" 7

08.00 ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 09.00, 13.00 სერ. "აღქმა" 11.00, 17.00 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 სერ. "ანტიმაფია" 19.00 სერ. "გაბოროტებული" 21.00 სერ. "ანგარიშსწორება" 22.30 მხ/ფ "ზზარი" 00.35 მხ/ფ "მამაცი" 02.55 მხ/ფ "შემოჭრა"

06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "ველური ბუნება"-აფრიკა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 "მსოფლიო საგანძური"-კოლუმბია-სანტოდომინგო კოლუმბიის ქალაქი 10.25 თბილისის ტაძრები "მეტეხის ტაძარი" 10.45 ძველი აფიშა "ჩვენი პატარა ქალაქი" 11.30 დ/ფ "ძმას ხეობა" III ნაწ. 12.10 მხ/ფ "სამანიშვილის დედინაცვალი" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 სამყაროს შექმნა 15.40 სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ვლადიმერ გიოაშვილი" 16.10 კონცერტი 17.00 დ/ფ "წმინდა მიწა ქართველ პირიგრიმთათვის" 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 მხ/ფ "პიერი მილიციის თანამშრომელი" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 დროის ჩანაწერები "პაოლო იაშვილი-ელენე დარიანის მითი..." 22.25 მოგზაურობა სამშობლოში-"ქვეყანა შუამთისა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 ღვთის სახლი 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 დ/ფ "ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს" I ნაწ. 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) 8.00, 13.30, 15.30 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00, 18.50, 20.55 სერ. "მარისა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.50 სერ. "ბემი" 23.10 სერ. "ესკობარი" 1.00 მხ/ფ "ვუნდერკინდები" 3.00 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო"

## შაბათი 29 აპრილი

07.30 "პირადი ექიმი" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 10.00 "მარილის პრინცესა" 11.00 "სიტყვების თამაში" 11.30 ტ/სერ. "გამარჯვებული ვიქტორია" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.15 "გურმანია" 12.45 ქართ. მხ/ფ "მაისის თოვლი" 14.00 კალათბურთი. საქართველოს სუპერლიგა "ოლიმპი"-"ბათუმი" 16.30 "წიგნების თარო" 17.00 "დღე მუზეუმში" 17.30 დოკ/ფ "გოთიკური ხელოვნება" 18.30, 04.00 ტ/სერ. "პუარო. რა იზრდება შენს ბაღში" 19.30 "ტელებლოგი" 20.30 "ხანმოკლეXX საუკუნე" 20.59 "ყველა კითხვა" 22.00 "შაბათს საღამოს ლიზასთან" 23.00 "წითელი ზონა" 00.05 მხ/ფ "მარი ანტუანეტი" 02.05 "გურმანია" 02.35 "დღე მუზეუმში" 03.00 დოკ/ფ "გოთიკური ხელოვნება"

08.00 დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" 09.00 დ/ფ "ლანსის ლუვრი-დროის გალერეა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "დიდი ვალდო პეპერი" (რ.რედფორდი) 12.00 დ/ფ "ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" 13.00 დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" 13.50 მხ/ფ "მუმია" 16.00 დ/ფ "გიიკების რევანში" 17.00 "ბრიფინგის დრო" 17.30 დ/ფ "დიზაინი" 18.00 დ/ფ "კოფი ანანი" 19.00 "უნი-ვერსია" 20.00 "მოამბე" 20.30 "ჩვენი პარლამენტი" 21.00 მხ/ფ "სოციალური ქსელი" 23.10 მხ/ფ "ერინ ბროკოვიჩი" (ჯ.რობერტსი) 01.20 დ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისათვის"

05.20, 14.40 სერ. "ელიფი" 07.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 08.00 "ბიონსეს და ჯეი ზის ზღაპრული ცხოვრება" 09.00 მხ/ფ "ზრიოლინი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ცოდნა ფულია 13.00 კულინარიული დუელი 17.35 სერ. "სტამბოლის ორი სახე" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.55 სერ. "ნამსხვრევები" 22.00 პრაიმშოუ 23.30 მხ/ფ "ანგელოზები: სიყვარულის ამბავი" 01.30 მხ/ფ "ბიჭი – სათამაშო" 03.10 მხ/ფ "ბრიოლინი"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30, 09.00 მხ/ფ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.35 კომედი შოუ 15.30 X-ფაქტორი 18.30 გათამაშება (ევროპაბეთი 3-7) 19.00 იღბლიანიბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 23.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23 23.30 სერ. "სამშობლო" 8

08.00 ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 09.00 მხ/ფ "ტერნერი და ჰუჩი" 11.00 სერ. "მონკი" 15.00 მხ/ფ "სპარსეთის პრინცი" 17.15 მხ/ფ "ჰერაკლე" 19.05 მხ/ფ "მე-13 მეომარი" 21.00 მხ/ფ "ტიტანების შერკინება" 22.55 მხ/ფ "ტიტანების რისხვა" 00.45 მხ/ფ "მეფე არტური"

06.15 მოკ. მხ/ფ "ჰობოი" 06.40 დ/ფ "წმ. მიწა ქართველ პირიგრიმთათვის" 07.05 ეპოქის სახელები 07.30 მოგზაურობა სამშობლოში-"ქვეყანა შუამთისა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 ქვიშით ამღერებული პოეზია 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ისტორიის დღიური 10.15 "მსოფლიო საგანძური"-პრაღა-მოგზაურობა ისტორიაში 10.40 დ/ფ "ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს" I ნაწ. 11.35 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 12.10 მხ/ფ "პიერი მილიციის თანამშრომელი" 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ანიმაციური ფილმი "კეროტის თავგადასავალი" 15.45 ძველი აფიშა "ჩვენი პატარა ქალაქი" 16.35 კვირიაკე 17.20 საეკლესიო აღმშენებლობა 18.10 მოკ. მხ/ფ "თედო" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 დეკორატიული ფლორა "იასამანი" 19.30 ქართული ალბომი 20.15 მგზავრები წუთისოფლისა-"ფშავი სოფ. გომეწარი" 1 20.50 სიბრძნისმეტყველება 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 სალვთისმეტყველო საუბრები 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "სიმღერით დარჩებიან-დები იშხნელები" 00.45 დროის ჩანაწერები 01.30 მხ/ფ "გამტაცებელთა კლუბი"

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) 8.00 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 10.00 დისქავერი "ქალი, კაცი, ბუნება" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "ბიზნეს კონტაქტი" 14.00, 15.30 სერ. "მარისა" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი" 18.30 ანიმაცია "მაშა და დათვი" 19.00 სერ. "ბემი" 21.30 "რა დროს ძილია" სოც.თოქ-შოუ 22.30 მინისერ. "წყევლა" 1.30 ქართ. სერ. "პარადოქსი " 2.30 მხ/ფ "13 დღე"

## კვირა 30 აპრილი

07.30 "პირადი ექიმი" 08.00 კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 10.00 "პრინცესა მადუნი" 11.00 "სიტყვების თამაში" 11.30 ტ/სერ. "გამარჯვებული ვიქტორია" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.15 "გურმანია" 12.45 "ფერმა" 13.15 "ტელებლოგი" 13.45 "გააგრძელე საქართველოს ისტორია" 14.15 "შაბათს საღამოს ლიზასთან" 15.15 დოკ/ფ "ცნობისმოყვარეობა. იელოუსტოუნის გაშუქება" 16.30 "წიგნების თარო" 17.00 "ვაშინგტონი დღეს" 17.25 ფეხბურთი. ეროვნული ლიგა. "ტორპედო" - "დინამო" (ქუთაისიდან) 19.30 "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" 20.00 "კვირის მოამბე" 21.00 ახალი ქართული კინო - "შანტრაპა" 23.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.50 მხ/ფ "ქმრები და ცოლები" 01.30 მხ/ფ "ფსკერზე"

08.00 დ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" 09.00 დ/ფ "კოფი ანანი" 10.00 მხ/ფ "უფლისწული და მოცეკვავე" (მ.მონრო) 12.00 დ/ფ "ჟან-პოლ გოტიე" 13.00 დ/ფ "ეფლი" 14.00 მხ/ფ "მუმია ბრუნდება" 16.10 დ/ფ "კიდევ სცადე" 17.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 18.00 დ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისათვის" 19.00 "აფხაზეთი" 20.00 "მოამბე" 21.00 მხ/ფ "უგზოუკვლოდ დაკარგული" (ჯ.ლემონი) 23.15 მხ/ფ "21" 01.30 "ნამდვილი დრო"-კვირის დაიჯესტი

05.20, 14.40 სერ. "ელიფი" 07.00 კულინარიული დუელი 08.00 "მერაია ქერის და ნიკ ქენონის ზღაპრული ცხოვრება" 09.00 მხ/ფ "უმაღლესი ქულა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 რისკ ფაქტორი 11.45 ცეკვავენ ვარსკვლავები 17.35 სერ. "სტამბოლის ორი სახე" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 20.00 იმედის დრო 22.00 მხ/ფ "ოლიმპოს დაცემა" 00.15 მხ/ფ "სისხლიანი სპორტი" 02.00 მხ/ფ "ანგელოზები: სიყვარულის ამბავი"

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30, 09.30 მხ/ფ 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 13.30 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქ. მხ/ფ 16.55 რენოვაცია 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 23.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 24 23.30 სერ. "სამშობლო" 9 მხ/ფ, მხ/ფ

08.00 ან/სერ. "ფანბოი და ჩამ-ჩამი" 09.00 მხ/ფ "ძაღლების სიყვარული სავალდებულოა" 11.00 სერ. "მონკი" 15.00 მხ/ფ "დივერგენტი" 17.30 მხ/ფ "დივერგენტი – მეამბოხე" 19.45 მხ/ფ "დივერგენტი - ერთგული, ნაწილი პირველი" 22.00 მხ/ფ "ბოროტების სავანე – სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ" 23.50 მხ/ფ "ბოროტების სავანე – შურისძიება" 01.45 მხ/ფ "წყევლა" 03.45 მხ/ფ "დეჟა ვუ"

06.20 სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ვ. გიოაშვილი" 06.40 დ/ფ "სიმღერით დარჩებიან-დები იშხნელები" 07.20 მოკ. მხ/ფ "თედო" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 საეკლესიო აღმშენებლობა 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 "მსოფლიო საგანძური" ბუდაპეშტი დუნაის სანაპირო და ციხესიმაგრის უბანი 10.25 ღვთის სახლი 10.40 შუადღის სტუმარი 10.00 სიბრძნისმეტყველება 11.15 ქართული ალბომი 12.15 ან/ფ "ბოლტო" 2 სერ. 13.45 წმინდანები "წმინდა მეფე თამარი" 14.15 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 ან/ფ "კეროტის თავგადასავალი" 16.00 სალვთისმეტყველო საუბრები 16.45 მიწათმოქმედი 17.10 ეპოქის სახელები 17.40 დ/ფ 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.25 მოკ. მხ/ფ "კედელი" 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 00.30 დ/ფ "გერგეტის მყინვარი" 01.20 მხ/ფ "ნიუ-ორლიანის რჩეული"

მაესტრო 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) 8.00 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 10.00 დისქავერი "ქალი, კაცი, ბუნება" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30 "რა დროს ძილია" სოც.თოქ-შოუ 13.00, 15.30 სერ. "მარისა" 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი" 18.30 ანიმაცია "მაშა და დათვი" 19.00 სერ. "ბემი" 21.30 მინისერ. "ვირთხა" 0.30 ქართ. სერ. "პარადოქსი " 1.30 მხ/ფ "ცხრიანები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ნანი ბრეგვაძე: „ჯუნგლებში ვართ!“



მომღერალი ნანი ბრეგვაძე თბილისში მიმდინარე დაუსრულებელ მშენებლობებს და ხეების ჩეხვას აპროტესტებს და ოდესღაც მზის და ვარდების ქალაქს ჯუნგლებს უწოდებს:

– ჯუნგლებში ვართ! წარმოუდგენელი სახლები, ლამაზები მაინც იყოს! თან ერთმანეთზე მიყუდებული, ჰაერი ისედაც არ არის და ყოველდღე უარესი და უარესი ხდება.

რა არის მოსაწონი?! მაჩვენეთ შენობა, რომელზეც ვიტყვი, რომ არაჩვეულებრივი არქიტექტურაა. მგონია, რომ არავის უყვარს ეს ქვეყანა და ეს ქალაქი. ეს არის არა მშენებლობა, არამედ დანგრევა, ანგრევენ ამ ულამაზეს ქალაქს. ხეები აღარ არის, პარკებზე და სკვერებზე ზედმეტია ლაპარაკი, პატარ-პატარა ბუჩქებიც კი აღარ არის. ცოტა გონს მოვიდნენ და შეუყვარდეთ თავისი ქალაქი.

მესმის, რომ წინ უნდა წავიდეთ, მშენებლობებიც უნდა იყოს, მაგრამ ეს ნამდვილი საგიჟეთია. ბევრია სათქმელი, მაგრამ ვიტყვი, რომ საშინელება ხდება, ჰაერი არ არის, ადამიანებმა, ვის ხელშიც არის ეს ყველაფერი, ხალხზეც უნდა იფიქროს. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ყველა თავის თავზე ფიქრობს. მგონია, რომ მართალი ვარ. მიყვარს ჩემი ქალაქი, ვერც კი წარმომიდგენია, წავიდე და ვიცხოვრო სხვაგან. როგორც კი მოვრჩები სხვაგან საქმეებს, მაშინვე მოვრბივარ უკან, – განაცხადა მომღერალმა „პრიორიტეტთან“ საუბარში.

# ნინო ანანიაშვილი ამერიკაში მიიწვიეს



ქართული საბალეტო დასის ხელმძღვანელი და პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი ამერიკაში მიიწვიეს.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის საუკეთესო საბალეტო მოცეკვავის, ამერიკის ბალეტის თეატრის სოლისტის ხულიო ბოკას დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი ლინკოლნ ცენტრში გაიმართა.

მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავებთან ერთად გალა-კონცერტში ამერიკის ბალეტის თეატრში ხულიო ბოკას პარტნიორი მრავალი წლის განმავლობაში ნინო ანანიაშვილი მონაწილეობდა.

# გავლენიანი გამოცემა ვოგი საქართველოზე ვრცელ სტატიას აქვეყნებს



– საქართველოს სილამაზე წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის რკინის ფარდის მიღმა იმალებოდა. 1991 წლის შემდეგ კი ის კვლავ დაბრუნდა მსოფლიო რუკაზე. ეს ქვეყანა უნიკალური სუფრითა და ღვინით ყველაზე სტუმართმოყვარე ქვეყანაა, – წერს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემა ვოგის ჟურნალისტი ჯენიფერ მერფი თავის სტატიაში.

წერილში საუბარია იმ ხუთ ძირითად მიზეზზე, რის გამოც ჩვენს სამშობლოში ნებისმიერი ადამიანი აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს. უნიკალური კულტურული ძეგლები დაცული იუნესკოს მიერ, სვანეთის კოშკები, ყაზბეგის თვალისმომჭრელი სილამაზე, კომფორტული სასტუმროები დაბალი ფასებით, განუმეორებელი სამზარეულო, მთაში თოვლზე სრიალი, საფრენი აპარატით ფრენა, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დამსვენებელს, ყაზბეგი და გუდაური ჩიტის ფრენის სიმაღლიდან დაათვალიეროს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# თინა მახარაძე „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ მიდის



მსახიობი თინა მახარაძე გახმაურებული ქართული სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“ მიდის. ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და სასიხარულო ინფორმაცია ყველას გაუზიარა. სერიალის დატოვების მიზეზი თინა მახარაძის კინორეჟისურის სამწლიან მაგისტრატურაში მიღებაა. როგორც ჩანს, მსახიობს თავისი პროფესია აღარ აკმაყოფილებს და სურს, თავისი შესაძლებლობები კინორეჟისურაშიც გამოსცადოს. თინა მახარაძე სასწავლებლად უცხოეთში მიემგზავრება, რის გამოც, სერიალში მონაწილეობას ველარ შეძლებს.

# ჯემალ ღაღანიძე იუბილარია

რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი უხუცესი მსახიობი ჯემალ ღაღანიძე იუბილარია. მას 84 წელი შეუსრულდა. მსახიობი, რომელიც 60 წელია რუსთაველის თეატრშია და არასდროს ჰყოლია დუბლიორი, ამაყობს იმ წლებით, რომლებიც მან თეატრს დაუთმო.

– ჩემს შემთხვევაში ნამდვილად გამიმართლა ცხოვრებაში. რაც ჩაფიქრებული მქონდა ახალგაზრდობაში, ის განვახორციელე. საშუალო სკოლაში თითქმის მეშვიდე კლასიდან ჩაფიქრებული მქონდა და ჩემი ოცნება იყო მსახიობი გავმხდარიყავი. ისე წავიდა ჩემი ცხოვრება, რომ ყველაფერი ამიხდა. ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, თეატრს და შემოქმედებით ცხოვრებას. ასაკის მატებაში ერთადერთი ცუდი ის არის, რომ მიდიან მეგობრები და მარტო რჩები ადამიანი. ეს ჩემთვის ყველაზე მტკივნეული თემაა, – ამბობს იუბილარი ჯემალ ღაღანიძე.



როგორც მსახიობი აღნიშნავს, იუბილეები არ უყვარს, არც განსაკუთრებულ საჩუქრებს ელოდება. მისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ერთგული მაყურებლის სიყვარულია, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობს. სწორედ ამ მაყურებელმა მსახიობს მშობლიური რუსთაველის თეატრის წინ მადლიერებისა და უდიდესი სიყვარულის ნიშნად ვარსკვლავიც გაუხსნა.

# ვარძიის ნახანძრალი ტაძრის ფრესკებს ჭვარტლის ნაწილი მოაცილეს

ვარძიის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში გასული წლის 31 ოქტომბერს მომხდარი ხანძრის შედეგად ჭვარტლის ფენით დაიფარა XII საუკუნის კედლის მხატვრობა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭირო გახდა, ტაძარში ჩატარებულიყო კედლის მხატვრობის გადაუდებელი გაწმენდითი სამუშაოები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, თბილისის სამხატვრო აკადემიის კონსერვატორ-რესტავრატორების ჯგუფმა ლონდონის კურტოს ინსტიტუტთან თანამშრომლობით ადგილზე მოახდინა მდგომარეობის აღწერა-შეფასება, გაკეთდა სხვადასხვა სახის ტესტები, რის შემდეგაც შემუშავდა მეთოდოლოგია და დაიგეგმა კედლის მხატვრობის გადაუდებელი გაწმენდითი სამუშაოები. დაზიანებების შესწავლა და ჭვარტლის ფენისაგან გაწმენდა. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი ნანა კუპრაშვილია, კედლის მხატვრობის კონსერვატორი ამარილი რავა, კედლის მხატვრობის რესტავრატორ-კონსერვატორები კი სალომე ახალაშვილი, ალექსანდრე თოდუა, ელენე თორლვაიძე, ელენე ონაშვილი, ნუცა პაპიაშვილი, ალექსანდრე რუბაშვილი, გვანცა ფოცხიშვილი, საბა ციკოლია და ნანა ხუსკივაძე. რთული დაზიანებებიდან გამომდინარე სამუშაოები რამდენიმე ეტაპად დაიგეგმა. ამჟამად სამუშაოების პირველი და მეორე ეტაპი, რომელიც ჭვარტლის ფენის მხატვრობიდან მოცილებაა, ნაწილი შესრულებულია და დაგეგმილია გადაუდებელი გაწმენდითი სამუშაოების მომდევნო, მესამე ეტაპი.



სამუშაო ჯგუფის მიერ თავდაპირველი შესწავლისას შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით ხდება კედლის მხატვრობის ჭვარტლის ფენის შემცირება-გაწმენდა. აღნიშნული გაწმენდითი სამუშაოების მსვლელობისას კეთდება პროცესების დეტალური აღწერა-შეფასება და ფოტოფიქსაცია. ინტერიერში მუდმივად ხდება ტემპერატურისა და ტენიანობის კონტროლი-რეგულირება.

ამჟამად სამუშაოების პირველი და მეორე ეტაპი, რომელიც ჭვარტლის ფენის მხატვრობიდან მოცილებაა, ნაწილი შესრულებულია და დაგეგმილია გადაუდებელი გაწმენდითი სამუშაოების მომდევნო, მესამე ეტაპი.

# ასტროპროგნოზი

## 22 აპრილისთვის



**ვერძი** – ემოციურად არასტაბილური დღეა. გაღიზიანებული ხართ. ახლობლებთან ურთიერთობისას დიპლომატიურება გმართებთ. **კურო** – უხეშობა და სიჯიუტე უკუაგდეთ. მოთმინება და დათმობა დღის დევიზია. **ტყუპები** – ფინანსური მდგომარეობა არამდგრადია. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კირჩხიბი** – შეიცვალეთ გარემო, გადაიხალისეთ გარდერობი. სიახლე შეიტანეთ ყოველდღიურობაში. **ლომი** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც ხელგეწიფებათ. ემოციების გამოვლენას ვარსკვლავები არ გირჩევენ. **ქალწული** – მიზნის მიღწევაში პრინციპულობა და ინიციატივის გამოჩენა დაგეხმარებათ. მიენდეთ ინტუიციას. **სასწორი** – ყოველმხრივ დადებითი და პოზიტიური დღეა. ინტუიცია არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** – ახლო გარემოცვაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მაქსიმალური თავშეკავება გმართებთ. **მშვილდოსანი** – თავი ხელში აიყვანეთ, ემოციებს ნუ აჰყვებით. გარშემომყოფებთან ურთიერთობას ნუ დაძაბავთ. **თხის რქა** – წარმატების მოპოვების სურვილი დიდია, თუმცა საკუთარი ძალების გაკონტროლება აუცილებელია. დიდ საქმეს არ შეეჭიდოთ. **მერწყული** – პრიორიტეტები სწორად განსაზღვრეთ. შინაგან ხმას ნუ უგულებელყოფთ. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

## 23 აპრილისთვის

**ვერძი** – შემოქმედებითი და ენერგეტიკულად მდგრადი პერიოდია. გიმახვილდებათ ინტუიცია. **კურო** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. აქტიური ფიზიკური დატვირთვა ძალზე წაგადგებათ. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი საგრძნობლად იზრდება. თანამოაზრეებთან ერთად ნებისმიერ საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს. **კირჩხიბი** – დღეს განმარტოება გიჯობთ. წარსულში დაშვებული შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. **ლომი** – საკუთარი პოზიციების დაცვაზე იზრუნეთ. აქტიურობა და პირდაპირობა მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. **ქალწული** – განეწყვეთ ოპტიმისტურად, თუმცა ზედმეტი თავდაჯერებულობა საზიანოა. **სასწორი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. პირად ცხოვრებაში ნეგატიური ცვლილებები ჭარბობს. **ღრიანკალი** – დასამახსოვრებელი და მკვეთრი ცვლილებების პერიოდი გაქვთ. საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო ენერგია კონსტრუქციულად გამოიყენეთ. ძალზე იღბლიანი დღეა. **თხის რქა** – შემოქმედებითი, პოზიტიური და წარმატებული დღეა. ახალი შთაბეჭდილებები იმედით აღგავსებთ. **მერწყული** – გელით სასიამოვნო სიურპრიზი. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ნუ დაძაბავთ. **თევზები** – წინდახედულობა, შორსმჭვრეტელობა დღის დევიზია. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო პრეპარატი; 2. სამხედრო ნაწილის მღვდელი; 3. ქართველი პოეტის ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 4. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბიბლიის ნაწილი; 11. სიგრძის საზომი ერთეული იაპონიაში; 13. ინდური ეპიკური პოემა; 14. სატანვარჯიშო იარაღი; 16. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 18. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 20. პატარა ქვევრი.

**თარაზულად:** 6. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 7. მითოლოგიური „მარადიული ურია“; 8. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 9. ფრანგი მწერალი; 10. ხევსურული ტანსაცმელი; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. პატარა ფლეიტა; 19. კურორტი, ნავსადგური, რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. იაპონური რესტორანი; 23. მძაფრი გემოს მქონე ფრანგული ყველი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 3. სედანი; 3. ჰომეროსი; 4. ფიგარო; 6. ხულიგანი; 8. ახმეტა; 11. ბეისბოლი; 12. კარიესი; 16. თაობა; 17. განჯა; 18. გორდი.

**თარაზულად:** 1. ჰამსუნი; 5. ფაცხა; 7. სომელიე; 9. დიხაშხო; 10. ფაქტორი; 13. ტექსელი; 14. ბესონი; 15. ბანა; 19. ფისკალი; 20. სახარება; 21. ნაბელღავი; 22. შიიზმი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბუკლეტი; 2. მადაფათა; 3. ნობათი; 4. გოქჩა; 5. ნიკოლაძე; 8. პამპერსი; 12. აუდი; 13. ტრაქტატი; 14. ინკები; 16. ფაზენდა; 18. უწერა; 20. დუმა.

**თარაზულად:** 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. პურადი; 9. ბედია; 10. ფაგოციტი; 11. ტალახაძე; 13. ბრიჯსტოუნი; 17. მალაგა; 19. ბაღდავაძე; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. ქარაგმა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.3963 |
| ევრო | — 2.5708 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.0749 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2692 |

ამინდის პროგნოზი 22 აპრილისთვის







12 აპრილიდან

ლიონ ფოიხტვანგერი

გოია

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 24-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



19 აპრილიდან

ჟორჟ სანდი

ინდიანა

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 26-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

25 აპრილიდან

დევიდ უეისი

როდენი

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 21-ე

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი




## კაილი მინოუგი ბრიტანელ პრინცს ხვდება

ავსტრალიელი მომღერალი კაილი მინოუგი ფარულად ხვდება ბრიტანეთის პრინც ენდრიუს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ავსტრალიური გამოცემა წყაროსთან დაახლოებულ პირზე დაყრდნობით ავრცელებს.

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის 57 წლის ვაჟი „ასი პროცენტით შეყვარებულია" 48 წლის მომღერალზე.



გამოცემის ინფორმაციით, უინძორსა და მინოუგის დიდი ხანია, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ. მიმდინარე წლის თებერვალში ენდრიუმ კაილის პირადი საკითხების მოუგვარებლობის გამო მწუხარება გამოთქვა (მინოუგი თავის 29 წლის საქმროს, მსახიობ ჯოშუა სასს დაშორდა). მას შემდეგ კი პრინცი და პოპვარსკვლავი განუყრელად არიან, ამტკიცებს გამოცემა.

გამოცემამ ამ საკითხზე კომენტარისთვის მინოუგისა და უინძორის წარმომადგენლებს მიმართა, თუმცა ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია.

შეგახსენებთ, რომ მინოუგი არასოდეს ყოფილა გათხოვილი, თუმცა ის ხვდებოდა მსახიობ ოლივიე მარტინესს (ოთხი წლის განმავლობაში), მოდელ ანდრეას ველენკოზოს (ხუთი წელი) და სხვა ცნობილ ადამიანებს.

პრინცი ენდრიუ დედოფალ ელისაბედ II-ის რიგით მესამე შვილია. ის 1986 წლიდან 1996 წლის ჩათვლით დაქორწინებული იყო სარა ფერგიუსონზე, რომელთანაც ორი გოგონა შეეძინა. 2016 წელს მას მიაწერდნენ რომანს მსახიობ დემი მურთან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## იუმორი

ერთი სტუდენტი მეორეს ეკითხება:
– რას კითხულობ?
– კვანტურ მექანიკას.
– და წიგნი თავდაყირა რატომ გიჭირავს?
– რა განსხვავებაა, რო...

●●●

მაწანწალამ სახლის კარზე დააკაკუნა და როდესაც კარი დიასახლისმა გაუღო, ეუბნება:
– თუ შეიძლება, ტორტის ნაჭერი მომეცით.
– კი მაგრამ, ყოველთვის პურს არ ითხოვდი? – ეკითხება გაოგნებული დიასახლისი.
– ჰო, მაგრამ დღეს დაბადების დღე მაქვს...

●●●

ღამის სამ საათზე მეზობელს კედელზე უბრახუნებს მამაკაცი და ღრიალებს:
– ეი, შენ, შობელძაღლო, თუ ახლავე არ შეწყვეტ მაგ შენ ტრომბონზე დაკვრას, იცოდე გავგიჟდები!
კედლის მეორე მხრიდან მეზობელი პასუხობს:
– მგონი დააგვიანე, უკვე ორი საათია, რაც დაკვრა დავამთავრე...

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– ცოლად გამომყვები?
– ოჰ, არა... დღეს ისედაც ბევრი ვიარე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ჩვენი მთავრობის განცხადებებს რომ ვუსმენ, ასე მგონია, რომ სხვა ქვეყნის მთავრობაა.

●●●

განქორწინების პროცესზე ქალი თავის ადვოკატს ეუბნება:
– ყველა საშუალება გამოიყენეთ იმისთვის, რომ სასამართლომ მანქანა მომაკუთვნოს და არა ბავშვები...

●●●

ბავშვებმა მასწავლებელთან ერთად სურათი გადაიღეს. მასწავლებელი მათ არწმუნებს, რომ ყოველმა მათგანმა თითო ფოტოსურათი იყიდოს. ის ბავშვებს ეუბნება:
– წარმოიდგინეთ, რა კარგი იქნება, როდესაც უკვე დიდები იქნებით, დახედავთ სურათს და იტყვით: „აი, ეს მარია, ის ახლა მსახიობია, აი, ეს კი ნოდარია, ის ექიმია..."
ამ დროს უკანა მერხიდან გიგის ხმა ისმის:
– ეს კი ჩვენი მასწავლებელია, დიდი ხანია მიწაშია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.


## ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ტრავმა მიიღო



მანჩესტერ იუნაიტედის შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ბელგიური ანდერლეხტის წინააღმდეგ შეხვედრის ბოლოს მუხლის ტრავმა მიიღო და ის მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. ტრავმა შესაძლოა სერიოზული აღმოჩნდეს და ამ შემთხვევაში ზლატანისთვის წლევანდელი სეზონი დასრულებული იქნება.

იბრაჰიმოვიჩმა ტრავმა ერთი შეხედვით უწყინარ მდგომარეობაში მიიღო, როდესაც მან მოედანს ფეხი ცუდად დაადგა.

მანჩესტერი ანდერლეხტს გასცდა და ევროპის ლიგის ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ესპანური სელტა იქნება.

შეხვედრები 4 და 11 მაისს გაიმართება.

## დიეგო სიმეონე: „რეალთან ომი გველის"



მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ რეალთან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრებზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს წინ ნამდვილი ომი ელის, რომელშიც გამარჯვებას ღირსეული მოიპოვებს:

– წინ ძალიან რთული შეხვედრები გველის, რომლებშიც მაქსიმალურად უნდა გამოვავლინოთ ჩვენი ხასიათი და მეტოქეს პრობლემები შევუქმნათ. ჩემი გუნდის ფეხბურთელების მჯერა და ვიცი, რომ ისინი ბოლომდე იბრძოლებენ. წინ ნამდვილი ომი გველის.

პირველი შეხვედრა ამ გუნდებს შორის 2 მაისს, განმეორებითი კი 9 მაისს გაიმართება. პირველ მატჩში მასპინძლები რეალის ფეხბურთელები იქნებიან.

## უნაი ემერი შესაძლოა რომაში აღმოჩნდეს



პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი უნაი ემერი შესაძლოა იტალიურ რომაში აღმოჩნდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სეზონის ბოლოს ემერის დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ემერი უკვე მოელაპარაკა რომას ხელმძღვანელობას და პსჟ-დან წასვლის შემთხვევაში ის რომას მთავარი მწვრთნელი გახდება.

ემერის მუშაობით პარიზში არცთუ კმაყოფილები არიან, ამიტომ მისი ამ გუნდის დატოვება სავსებით რეალურია.

პსჟ-ში მისვლამდე ემერი დიდი ხნის მანძილზე ესპანური სევილიის დამრიგებელი იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გულღრძო, ღვარძლიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 6. ბრტყელი ლოკოკინა; 8. აღმოსავლური თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 11. საკონდიტრო ნაწარმი; 12. ძველი ირანული სალიტერატურო ენა; 16. გადასატანი ქეჩის კარავი შუა აზიაში; 17. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 18. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 1. სახელგანთქმული ექიმის ძველი სახელწოდება; 5. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 7. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ქრისტიანული სამლოცველო, საყდარი; 10. ობობის ძველი ქართული სახელწოდება; 13. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 14. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 15. დაბერებული თხა; 19. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 20. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 21. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 22. ხიდის საყრდენი ბურჯი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

